ერთობლივი ფრენა წარმატებით დამთავრდა

ეს ფრენა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია კოსმოსში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების გზაზე

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

1975 | საშაბათი | 22 | ივლისი | № 170 (16296) | ფასი 2 კაპ. | 1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 წლის 21 ივლისს „სოიუზ-აპოლონის“ ერთობლივი ფრენის პროგრამის დამთავრების შემდეგ „სოიუზ-19“ ხომალდის ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი-პილოტი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი და ბორტინჟინერი, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვალერი ნიკოლოზის-ძე კუბასოვი, მიწაზე დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში.



სურათებზე: ზემოთ — ხომალდ „სოიუზის“ პარაშუტით დაშვება; ქვემოთ — შეხვედრა მშობლიურ მიწაზე.

საკლესი-საკინფორმი

საკლესის ცნობა

„სოიუზ-19“ ხომალდის ეკიპაჟი დედამიწაზეა

1975 წლის 21 ივლისს „სოიუზ-აპოლონის“ ერთობლივი პროგრამის დამთავრების შემდეგ „სოიუზ-19“ ხომალდი ეკიპაჟითურთ, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი და ბორტინჟინერი, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვალერი ნიკოლოზის-ძე კუბასოვი, საბჭოთა მიწაზე დაბრუნდა.

ამერიკული ხომალდის „აპოლონის“ ფრენა გაგრძელდება ამა წლის 25 ივლისამდე ავტონომიური პროგრამით.

„სოიუზ-19“ ხომალდის დასაშვები აპარატი რბილად დაეშვა 13 საათსა და 51 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში ქალაქ არკალიკის ჩრდილო-დასავლეთით 54 კილომეტრზე. „სოიუზ-19“ ხომალდის დაშვება პარაშუტით და მისი დედამიწაზე დაჯდომა გადაიცა ფერადი ტელევიზიით.

კოსმონავტები ა. ა. ლეონოვი და ვ. ნ. კუბასოვი თავს კარგად გრძნობენ.

„სოიუზ-19“ პილოტირებული კოსმოსური ხომალდის ფრენის პროგრამა, რომელიც გათვალისწინებული იყო „სოიუზ-აპოლონის“ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი პროექტით, მთლიანად შესრულებულია. „სოიუზ-19“ ხომალდის ექვსი დღე-ღამის ორბიტული ფრენის დროს პირველად ექსპერიმენტულად შემოწმებულია მიახლოებისა და შეპირაპირების ერთობლივი საშუალებანი; მოეწყო საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების შეპირაპირება, კოსმონავტთა გადასვლა ხომალდიდან ხომალდში, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტები — „მზის ხელოვნური დაბნელება“, „ულტრაიისფერი შთანთქმა“, „ზონაწარმომშობი სოკოები“, „მიკრობების გაცვლა“, „უნივერსალური ღუმელი“. ამ გამოკვლევებს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ავტონომიური ფრენის დროს „სოიუზ-19“ ხომალდის ეკიპაჟმა მოაწყო ბიოლოგიური და გეოფიზიკური გამოკვლევები და დაკვირვებანი, გადაიღო დედამიწის ზედაპირის ცალკეული უბნების ფოტოები სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.

ფრენის დროს საბჭოთა და ამერიკელმა კოსმონავტებმა გამოავლინეს შესანიშნავი ურთიერთმოქმედება და ურთიერთგაგება, დავალებებს ასრულებდნენ შეთანხმებულად და ზუსტად, ჭეშმარიტად მეგობრულ ატმოსფეროში.

კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-19“-ისა და „აპოლონის“ ერთობლივი ფრენის მართვა ხორციელდებოდა საბჭოთა და ამერიკის მართვის ცენტრების სათვალთვალო სადგურების საშუალებით, რომელთა შორის დამყარებული იყო პირდაპირი სატელევიზიო, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი.

მთელი ექსპერიმენტის მანძილზე ფრენის მართვის ორივე ცენტრის სპეციალისტებს კარგი ურთიერთმოქმედება ჰქონდათ.

კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-19“-ისა და „აპოლონის“ ერთობლივი ექსპერიმენტული ფრენის წარმატებით დამთავრებამ დაადასტურა შეპირაპირების შეთავსებადი სისტემების შემუშავების დროს მიღებულ ტექნიკურ გადაწყვეტათა სისწორე, რომლებიც უზრუნველყოფენ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი ორი სხვადასხვა კონსტრუქციის ხომალდის ერთობლივ ფრენას. ექსპერიმენტის სამეცნიერო-ტექნიკური შედეგები მნიშვნელოვანი წვლილია მსოფლიო კოსმონავტიკის საგანძურში, მეცნიერებასა და კულტურაში. ერთობლივი ექსპერიმენტის მზადებისა და მოწყობის დროს საბჭოთა და ამერიკის მხარეთა შეძენილი გამოცდილება კარგი საფუძველია შემდგომი საერთაშორისო კოსმოსური პილოტირებული ფრენის, კოსმოსური სივრცის ერთობლივი მეცნიერული კვლევის განვითარებისათვის.

კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-19“-ისა და „აპოლონის“ ერთობლივი ფრენა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია კოსმოსში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების გზაზე. ეს ფრენა მსოფლიოს ხალხებს მიანიშნა საერთაშორისო დაძაბულობის რეალური შენელების ფაქტად, რომელშიც უდიდესი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირს. „...კოსმოსიდან ჩვენი პლანეტა, — თქვა ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — კიდევ უფრო ლამაზად მოჩანს, თუმცა დიდი არ არის. იგი საკმაოდ დიდია, რომ შეგვეძლოს მასზე მშვიდობიანად ცხოვრება, მაგრამ მეტად მცირეა, რომ შევუქმნათ ატომური ომის საფრთხე“. ხალხთა მზარდი ურთიერთგაგება და კეთილი ნება ქვეყნად მტკიცე მშვიდობის გარანტიაა.

„სალუტ-4“: ფრენის მეცხრე კვირა

ფრენის მართვის ცენტრი, 21 ივლისი. (საკლესი). ფრენის პროგრამის შესაბამისად „სალუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟის მორიგი საშუაო დღე მიეძღვნა მეორე ექსპედიციის შემდგომ დასკვნითს ოპერაციებს.

პეტრე კლიმუკი და ვიტალი სევასტიანოვი მუშაობდნენ სასტემებს, მოწყობილობისა და სამეცნიერო ხელსაწყოების მოსამზადებლად ავტომატური რეჟიმით სადგურის ფრენისათვის. აქასთან კოსმონავტები ამზადებდნენ ცალკეულ სამეცნიერო ხელსაწყოებს მომავალი კვლევისათვის. ეკიპაჟი ავრეთვე ასრულებდა ტექნიკურ კინო-და ფოტოგადაღებას სადგურის ნაკვეთურებში.

ბიოლოგიური ექსპერიმენტების პროგრამის მიხედვით ხორცელდებოდა ბიოლოგიური ობიექტების ბლოკების მუშაობის კონტროლი, ავრეთვე ფოტოგადაღება უფრინველ პირობებში უმაღლესი მცენარეების განვითარების თავისებურებათა რეგისტრაციისათვის.

საშუაო დღის მანძილზე კოსმონავტები, როგორც ყოველთვის, ფიზიკურ ვარჯიშს ასრულებდნენ ორი საათის განმავლობაში.

პეტრე კლიმუკი და ვიტალი სევასტიანოვი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ ორბიტული სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ. ფრენა გრძელდება.

ჩაის საბჭოთა მეურნეობების წარმატება

შესრულებულია ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა

— ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებული განვითარების პროგრამის შესრულებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მეჩაიეობა, რომლის განვითარება წლითიწლობით უფრო საგრძნობი ხდება. რესპუბლიკაში ყოველწლიურად დამზადებული ჩაის პროდუქციის მთელ მოცულობაში დირსეული წვლილი შეაქვს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, რომელიც აერთიანებს 32 ჩაის საბჭოთა მეურნეობას — თქვა „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში ამ ტრესტის მმართველმა რ. ფანცხავამ.

ამ მეურნეობათა კოლექტივების დაძაბული შრომით მიღწეულია დიდი წარმატება. ჯერ კიდევ შარშან ტრესტის სისტემის მეურნეობებმა მოკრეფეს და მრეწველობას ჩაბარეს 67.263 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 61.326 ტონისა. მეჩაიეებმა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის 15 ივლისისათვის ახალი წარმატება უპატაკეს სამშობლოს: გაზაჰარებებით შესრულებულია ხუთწლიანი გეგმიდან დასაბუული ამოცანა. ხულ მოიკრიფა 296.972 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 289.288 ტონისა. მოკრეფილი ნედლეულის პირველი ხარისხი 71,6 პროცენტს შეადგენს.

ამ წარმატებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს წალენჯიხის, ლაითურის, ონჩხამურის, ცეცხლაურის, მოქვის, ჩაქვის, ნასაკირალის, დიდი ჭყონის, ლესიჭინის, ნარეულის და სხვა საბჭოთა მეურნეობებმა. შარშან ამ მეურნეობებში საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 60-70 ცენტნერს გადაამეტა. ამან განაპირობა წარმოებული პროდუქციის მაღალი დონეც.

აღსანიშნავია, რომ შარშან ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა მეჩაიეობიდან 60 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღეს. წლეულს კი გაცილებით უფრო მეტი იქნება. ამას ხელს უწყობს მეჩაიანობაიანი გაბედულად დანერგვა, მათ შორის მცირე მექანიზაციის განსორციელება. შარშან და წლეულს მეურნეობებში მუშაობენ ასობით ჩაის ფოთლის ხელით საკრეფი და ბუნქის სასხლავი მანქანები.

შარშან 137 ხელით საკრეფი მანქანა მუშაობდა და თვითეული მანქანის წარმადობამ სეზონში 8,2 ტონა შეადგინა. ეს მაჩვენებელი წლეულს გაცილებით მეტი იქნება. ტრესტის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ განამტკიცონ ეს წარმატება და უფრო მეტი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ ნაკისრი 120 მილიონი მანეთის შეკვეთების პროდუქციის გამოშვების საქმეში, ახალი წარმატებებით შესვლნენ მშობლიური პარტიის XXV ყრილობას.

ხუთწლედი — ვადამდე!

მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს. ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსურ ხომალდ „აპოლონთან“ ერთად „სოიუზ-19“ საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ფრენის მომზადებასა და განხორციელებაში, საბჭოთა კოსმონავტებს ამხანაგებს ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვსა და ვალერი ნიკოლოზის-ძე კუბასოვს

ძვირფასო ამხანაგებო!

მთელი კაცობრიობა აღტაცებით ადევნებდა თვალს თვალსაჩინო ექსპერიმენტს კოსმოსში — „სოიუზ-19“ საბჭოთა ხომალდისა და ამერიკის ხომალდის „აპოლონის“ ერთობლივ ფრენას. პირველად ისტორიაში განხორციელდა ორი ქვეყნის კოსმოსური ხომალდების შეპირაპირება, მოქმედებაში შემოწმდა შეპირაპირების ახალი საშუალებანი კოსმოსურ სივრცეში ადამიანის ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. მოეწყო ასტროფიზიკური, სამედიცინო-ბიოლოგიური, ტექნოლოგიური და გეოფიზიკური ექსპერიმენტები.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური ხომალდების ფრენა მნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებაში. მისი წარმატებით განხორციელება ერთობლივი მუშაობის ახალ პერსპექტივებს უსახავს სხვადასხვა ქვეყანას კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებაში.

უდიდესი წვლილი შეაქვს ამ კეთილშობილურ საქმეში საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას. მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოშებმა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი აღნიშნეს ახალი მიღწევებით კოსმოსის შემდგომ შესწავლასა და ათვისებაში. წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა კოსმონავტების მეორე ეკიპაჟის მუშაობა „სალუტ-4“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში. პლანეტა ვენერასაკენ სტარტი აიღეს „ვენერა-9“ და „ვენერა-10“ ავტომატურმა კოსმოსურმა სადგურებმა. მთვარესა და მთვარისირგვლივ სივრცეს იკვლევს ავტომატური სადგური „ლუნა-22“. მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის კოსმოსურ სივრცეში რეგულარულად უშვებენ კავშირის თანამგზავრებს, მეტეოროლოგიურ და სხვა თანამგზავრებს.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამხანაგებო, ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვ და ვალერი ნიკოლოზის-ძე კუბასოვ, სამშობლოს დავალების უნაკლო შესრულებას. ჩვენ აგრეთვე აღვნიშნავთ ამერიკელი კოსმონავტების თომას სტაფორდის, ვენს ბრანდისა და დონალდ სლეიტონის დიდ ოსტატობას და თქვენთან ერთობლივ მეგობრულ მუშაობას.

მხურვალედ ვულოცავთ მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, კოსმოდრომისა და საკომანდო-საზომი კომპლექსის სპეციალისტებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებმაც უზრუნველყვეს „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდის ფრენის მომზადება და განხორციელება, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი ექსპერიმენტის პასუხსაგები პროგრამის შესრულება.

გისურვებთ ყოველ თქვენგანს, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ მიღწევებს კოსმოსური სივრცის ათვისებაში ქვეყნად მტკიცე მშვიდობის, კაცობრიობის პროგრესის საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი — ნ. პოდგორნი — ა. კოსიგინი

სკკპ ცენტრალური კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მოგახსენებთ: 1975 წლის 21 ივლისს ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულების შემდეგ „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა საბჭოთა კავშირის გათვალისწინებულ რაიონში.

ჩვენ წილად ვგხვდა დიდი პატივი მონაწილეობა მიგვეღო ორი ქვეყნის — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური ხომალდების კაცობრიობის ისტორიაში პირველ ერთობლივ ფრენაში. მსოფლიოს ყველა ხალხის მშვიდობისა და პროგრესის საქმისათვის ამ დიდმნიშვნელოვან კოსმოსურ ფრენაში ჩვენ აღვავფრთოვანებდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, მუშათა, კოსმონავტთა შრომის მაღალი შეფასება და მისი მისალმების გულთბილი სიტყვები.

ფრენის მსვლელობაში პირველად განხორციელდა შეპირაპირებანი კოსმოსური ხომალდების: საბჭოთა კავშირის — „სოიუზისა“ და ამერიკული — „აპოლონისა“. „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდის ყველა სისტემამ, მოწყობილობამ და სამეცნიერო აპარატურამ სავსებით უზრუნველყო დაგეგმილ სამუშაოთა შესრულება.

მხურვალე მადლობას მოვახსენებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაწეული ნდობისათვის.

ხომალდის ეკიპაჟი მზად არის სამშობლოს ახალ დავალებათა შესასრულებლად.

ხომალდის უფროსი ლეონოვი, ბორტინჟინერი კუბასოვი.

მისასალმებელი დეპეშა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გერეკს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოთ საბჭოს თავმჯდომარეს ჯ. იაბლონსკის, პოლონეთის სახალხო-რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. იარუზელსკის მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის აღორძინების 31-ე წლისთავის გამო.

თავისი ნაცადი ავანგარდის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, ნათქვამია დეპეშაში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. განსაკუთრებით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელების მსვლელობაში.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოფილი ყოველმხრივი თანამშრომლობა, რომელიც სავსებით შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ხალხთა სანუკვარ მისწრაფებებს და ხელს უწყობს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, კვლავაც განუხრელად განმტკიცდება და განვითარდება.

(საკლესი).

საკლესის ცნობა

მეორე შეპირაპირება ორბიტაზე

წარმატებით გრძელდება კაცობრიობის ისტორიაში პირველი საერთაშორისო კოსმოსური ფრენა.

19 ივლისს 13 საათსათვის „სოიუზ-19“ ხომალდმა 63-ჯერ შემოუფრინა პლანეტას, აქედან 27-ჯერ ამერიკის ხომალდ „აპოლონთან“ შეპირაპირებულ მდგომარეობაში.

სამშაო დღის მეორე ნახევარში „სოიუზ“19“ და „აპოლონის“ ეკიპაჟებმა ხომალდები მოამზადეს განპირაპირებისათვის. ამ მიზნით „სოიუზ-19“ ხომალდის ნაკეთურებში წნევა გაადიდეს საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ავტონომიური ფრენისათვის მიღებულ დონემდე. ალექსი ლეონოვმა და ვალერი კუბასოვმა ჩაიცვეს სკაფანდრები და ორბიტული მოდულიდან გადაიდგნენ დასაშვებ აპარატში. პროგრამის შესაბამისად 15 საათსა და 02 წუთზე საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდები განპირაპირდნენ და დაშორდნენ ერთმანეთს.

ხომალდების დაშორების დროს განხორციელდა ერთობლივი მეცნიერული ექსპერიმენტი „მზის ხელოვნური დაბნელება“. ექსპერიმენტის დროს საბჭოთა ხომალდიდან მოეწყო მზის ხელოვნური დაბნელების ფოტოგადაღებათა სერია, რომელიც მიღებულია მზეზე და „სოიუზ-19“ ხომალდს შორის „აპოლონის“ მდებარეობის გზით. პირველად არის რეალიზებული მზის ვვირგვინისა და კოსმოსური ხომალდის ვარემოს თვისებათა კვლევის პრინციპულად ახალი მეთოდიკით ექსპერიმენტული შემოწმების შესაძლებლობა.

ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ კოსმონავტებმა ალექსი ლეონოვმა და ვალერი კუბასოვმა მოაწყეს ხომალდ „აპოლონის“ კინოგადაღება. შემდეგ მათ შესაპირაპირებელი კვანძი ატმოურ რეჟიმში ააყენეს და განახორციელეს „სოიუზ-19“ ხომალდის შემობრუნება და ორიენტაცია, რაც საჭიროა განმეორებითი შეპირაპირებისათვის.

15 საათსა და 40 წუთზე განხორციელდა ამერიკულ ხომალდ „აპოლონთან“ განმეორებითი შეპირაპირება. ამით დადასტურდა საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტების მიერ ახალი შესაპირაპირებელი სისტემის შექმნის დროს საკონსტრუქტორო და ტექნიკურ გადაწყვეტათა სისწორე, რაც საშუალებას იძლევა მოეწყოს ორი კოსმოსური ხომალდიდან ნებისმიერის აქტიური შეპირაპირება.

საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების საპოლოო განპირაპირება მოეწყო 18 საათსა და 26 წუთზე და დაიწყო ცალცალკე ფრენის დროს ერთობლივი ექსპერიმენტის ეტაპი.

დაშგებამდე დარჩენილ დროში საბჭოთა კოსმონავტები თვალს ადევნებენ და ფოტოსურათს გადაუღებენ დედამიწის ზედაპირის ცალკეულ უბნებს სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად, მოაწყობენ მთელ რიგ სამეცნიერო ექსპერიმენტებს და ხომალდს მოამზადებენ დაშვებისათვის. „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდი დაეშვება 21 ივლისს 13 საათსა და 51 წუთზე მოსკოვის დროით ყაზახეთის ტერიტორიაზე.

ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი თავს კარგად გრძნობენ. „სოიუზ-19“ ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

პილოტირებული კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-19“-ისა და „აპოლონის“ ფრენა გრძელდება.

ფრენის მართვის მოსკოვის ცენტრი, 20 ივლისი. (საკლესი). „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდის ფრენა დასასრულს უახლოვდება.

თავიანთი მეექვსე სამუშაო დღე ორბიტაზე ალექსი ლეონოვმა და ვალერი კუბასოვმა დაიწყეს 9 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით.

10 საათსა და 55 წუთზე მოეწყო ფრენის მართვის საბჭოთა ცენტრთან კავშირის მორიგი სეანსი. სეანსის დამთავრების შემდეგ ხომალდის მეთაურმა განახორციელა მორიგი ეტაპი ექსპერიმენტის „მიკროორგანიზმების ზრდა“, ხოლო ბორტინჟინერმა განაგრძო ექსპერიმენტი „ზონაწარმომშობელი სოკოები“.

11 საათსა და 45 წუთზე კოსმონავტები შეუდგნენ ხომალდის დაშვებისათვის მზადების ინიციაციის მანევრების შესრულებას.

ორბიტის პარამეტრები, რომლითაც დაფრინავს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-19“, შეადგენენ:

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 219 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი — დედამიწის ზედაპირიდან — 216 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 88,8 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51.78 გრადუსი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, მოკროკლიმატის პარამეტრები ხომალდის ნაკეთურებში შეადგენენ:

— წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 750 მილიმეტრი.

— ტემპერატურა — 20 გრადუსი ცელსიუსით.

კოსმონავტები ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი თავს კარგად გრძნობენ.

„სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

(დასასრული მე-2 გვ.).

თანამშრომლობის ორბიტაზე

ეროვნული ინტერესებიდან საერთაშორისოზე

დაძაბულობის შენელებიდან სიმყარეზე

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კოსმოსურ ექსპერიმენტზე

მთელი მსოფლიოს გაზეთების პირველი გვერდები კვლავ უკავია კოსმოსიდან მიღებულ ინფორმაციას. სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, წამყვანი პოლიტიკური და სამეცნიერო მიმომხილველნი ხაზს უსვამენ, რომ „სოიუზ-19“-ხა და „აპოლონის“ ტრიუმფული ოდისეა ცხადყოფს საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობებს როგორც კოსმოსში, ისე დედამიწაზე.

„სოიუზ-აპოლონის“ კოსმოსური ექსპერიმენტი თვალნათლივ აფასტურებს, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ერთად იმუშაონ უადრესად რთული პრობლემების გადაჭრაზე“. — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობა პალატის წევრმა პ. საიმონმა. „სოიუზ-19“ ხომალდმა კარგად შეასრულა მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა. აღნიშნა კოსმოსის კვლევის ამერიკული პროგრამის ერთ-ერთმა ეიტერანმა, მთვარეზე გათრენის მონაწილემ იუჯინ სერნანმ. განმეორებითი შეპირაპირების ოპერაციის განხორციელებისას, რომლის მსვლელობაში „სოიუზ-19“ აქტიური როლს ასრულებდა, საბჭოთა ეკიპაჟმა და დედამიწაზე მომუშავე სპეციალისტებმა თავი გამოიჩინეს.

„კოსმოსში ადამიანის დიადი მოგზაურობის სტარტს“, „საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ხანის“ დასაწყისს უწოდებს ამერიკული „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ „სოიუზ-აპოლონის“ ექსპერიმენტს.

უდიდესი ყურადღებით და კმაყოფილებით ადევნებენ თვალს „სოიუზ-აპოლონის“ შესანიშნავ ექსპერიმენტს ამერიკის კონტინენტის უბრალო ადამიანები. ისევი ისე ბუსტად შეპირაპირდნენ ორბიტაზე. თითქოს აქ, დედამიწაზე ყოფილიყვნენ. განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ნიუ-იორკელმა ჯონ ტრენტონმა. ეს იყო ქვეშმარტად წარმტაცი სანახაობა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი და საბჭოთა კოსმონავტებით.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის მონაწილემ, ამერიკელმა დ. ელიოტმა განაცხადა: რუსეთისა და ამერიკელების ისტორიულმა შეხვედრამ კოსმოსში მომავალია ჩვენი მეორე ისტორიული შეხვედრა — ელბაზე. ორივე ეს დიადი მოვლენა ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლოა.

„მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა მოელვარებით აღიქვეს ცნობა, რომ საბჭოთა და ამერიკული ხომალდების შეპირაპირება მოხდა სწორედ ამ წუთებში, როცა „სოიუზმა“ და „აპოლონმა“ გადაფრინეს ელბას, საადაც 1945 წელს ერომანთნის შეხვედრენ საბჭოთა და ამერიკელი ჯარისკაცები“, — წერს პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“.

ხომალდების „სოიუზ-19“ და „აპოლონის“ ეკიპაჟების ხელის ჩამორთმევა დედამიწის ორგვლივ ორბიტაზე ამ შესანიშნავი ცვლილებების სიმბოლოა, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში ხდება, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ლუკაშმა. სწორეა ამატომ დედამიწის პატიოსანი ადამიანები სულითა და გულით ეჭვერენ მხარს კოსმონავტებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების სიტყვებს, ამის შესახებ, რომ დაძაბულობის შენელების, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში პოზიტიური ძვრების შედეგად ახლა შესაძლებლობები იქმნება, რათა ქვეყნებსა და ხალხებს შორის ფართოდ და ნაყოფიერად განვითარდეს მეცნიერული კავშირურთიერთობა მთელი კოსმოსრომის მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

„ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრა კოსმოსში დიადი მოვლენაა, — წერს გერმანიოთა კომუნისტური პარტიის გაზეთი „უნზერი �აიტ“, — ამ ჯგრეგმოგმას, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც ჯერ-ჯერობულად სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილება აქვთ და მსოფლიოში უდიდესი მეცნიერული და სამრეწველო პოტენციალი გააჩნიათ, და ერთიანებენ თავიანთ ძალებს კოსმოსის მშვიდობიანი გამოკვლევის მიზნით, არა მარტო მეცნიერული, არამედ აგრეთვე უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს“.

კაცობრიობა იხილავს კოსმოსურ მომავალში.
ბ. ლომეიკის ნახატი.

მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ

„სოიუზ-აპოლონ“ კოსმოსური კომპლექსი 18 ივლისს 20 საათსა და 30 წუთზე საბჭოთა კავშირისა და ბოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარზე მიფრინავდა, როცა დაიწყო ხომალდების ეკიპაჟების პრეს-კონფერენცია მოსკოვისა და ჰიუსტონის პრეს-ცენტრებში აკრედიტებული ჟურნალისტებისათვის. პრეს-კონფერენცია ტრანსლირებული იყო უშუალოდ „სოიუზ“ და „აპოლონ“ ხომალდებიდან ფერადი ტელევიზიით. იგი ნახა და მოისმინა ასეულ მილიონობით ადამიანმა.

პრეს-კონფერენციის დასაწყისში განცხადებანი გაკეთეს ხომალდების მეთაურებმა: თომას სტაფორდმა რუსულად და ალექსი ლეონოვმა ინგლისურად.

შემდეგ ფრენის მართვის საბჭოთა ცენტრის ოპერატორებმა დაიწყეს კოსმონავტებისათვის შეკითხვების გადაცემა.

შეკითხვა ბორტინჟინერ **ვალერი კუბასოვს:**

თქვენ იყავით პირველი შემდეგი ადამიანი კოსმოსში. თუ გაიგუდობთ, რომ ყველა დაინტერესებული ქვეყნის მეცადინეობით ყველა ერისათვის თანაბარი სარგებლიანობის პრინციპებზე შეიქმნება მუდმივი ორბიტული სადგური?

პასუხი: მართლაც, „სოიუზ-6“ ხომალდის ფრენის **დრო** მომიხდა კოსმოსში პირველი შედეგების შესრულება. ახლა, ერთობლივი ფრენის დროს, ემონაწილეობდით „უნივერსალური ლაბორატორიის“ შექმნაში. როგორ შეიძლება ამ საქმეზე ერთად მეფრინავ. მე მინდა გავფრინდე კოსმოსში მეგობრებთან ერთად, რომლებსაც ენდობი და რომლებიც გენდობიან.

ფრენისათვის მზადების დროს კოსმონავტები და ასტრონავტები სწავლობდნენ კოლეგების ენას. კითხვაზე, პრაქტიკულად, გამართლდა თუ არა ორბიტაზე მუშაობის დროს მსწავლელის ენაზე ლაპარაკის პრინციპი, **თ. სტაფორდმა** უპასუხა:

— უხდა თქვას, რომ ეს ძალიან საჭირო იყო. თითქმის ერთ წელს ვემზადებოდით ასეთი ლაპარაკისათვის. ეს გვიხმარება ჭკეთ გავიგოთ ერთმანეთს და ამცირებს შეცდომების შესაძლებლობას.

— ახლა, როცა ორბიტაზე ერთმანეთს შეხვედნენ საბჭოთა კოსმონავტები და ამერიკელი ასტრონავტები, როგორ აფასებთ ერთობლივი საბალანდეთმორისო პროგრამის ფრენის შანსებს? — ჰკითხეს **ვ. ბრანდს.**

პასუხი: ჩემი აზრით, ასეთი ფრენის შანსები ძალიან კარგია, რა თქმა უნდა, უახლოეს მომავალში არ მოხდება, ჩემი აზრით, ასეთი ექსპედიცია მოიწყობა უახლოეს ოც წელიწადში. ეს ძალიან საინტერესო იქნება და საარგებლობას მოუტანს მთელ კაცობრიობას.

შეკითხვა **თ. სტაფორდსა** და **ა. ლეონოვს:** რა მნიშვნელობა აქვს ამ ფრენას ორბიტაზე შესაძლო ადამიანის ფრენა კოსმონავტთა გადარჩენის პრობლემის გადაწყვეტისათვის?

ა. ლეონოვი: როცა ერთობლივი ფრენისათვის მზადება დავიწყეთ, ჩვენს პროგრამას საფუძვლად დაეფუძნა გადარჩენის საშუალებათა დახვეწა და, უშიშარეს ყოველის, ბერიფერიული ანტიგრავიტაციის შესაპირაპირებელი კვანძის შექმნა და გამოცდა. დღეს შეგიძლია ვთქვათ: პროგრამის ძირითადი ნაწილი შესასრულეთ. ჩვენ გამოვიცადეთ შესაპირაპირებელი კვანძი, იგი კარგად მუშაობს და მაგრად უერთავს შეერთებული ხომალდები. ეს დასაყისია. დიდი მუშაობისა სხვადასხვა ქვეყნის ტექნიკოს ინსტიტუტებ**ისა** **და** **კოსმოსური** **სისტემების** **უნიფიცირებისათვის.**

თ. სტაფორდი: კოსმოსური ფრენის დროს ყოველთვის შეიქმნება შეგვმთხვევა მოულოდნელი სიტუაციები. და საკმაოდ გასაგებია, რომ რომელიღაც ეტაპზე სხვა ხომალდის მიშველების შესაძლებლობა ძალიან საჭირო იქნება. ძალიან კარგია, რომ მომავალში ასეთი შესაძლებლობანი, ალბათ, გვექნება. ჩემი აზრით, დიდი ნაბიჯი გადავდგთ ამ მიმართულებით და ამას მომავალში მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება. (საკდესი).

მეორე შეპირაპირება ორბიტაზე

(დასასრული)

ფრენის მართვის მოსკოვის ცენტრი, 20 ივლისი. (საკდესი). „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი განაგრძობს ფრენის დაგეგმილი პროგრამის შესრულებას.

კოსმონავტებმა შეასრულეს მანევრები, რომლებიც წარმოადგენენ დამვებისათვის მზადების ოპერაციის ამიტაციას სამუხრუჭო ძრავის დანადგარის ჩართვით. მანევრების შესრულების დროს მეთაურმა შეასრულა ხომალდის ხელით ორიენტაცია დედამიწის მიმართ, ხოლო შემდეგ გადაიყვანა იგი მაკორექტირებელი ძრავის დანადგარის ჩართვის წინ ავტომატური ორიენტაციისა და სტაბილიზაციის რეჟიმზე. რათა ხომალდის ორბიტის პარამეტრები შესრულებული ოპერაციების შედეგად უმნიშვნელოდ შეიცვალოს, სამუხრუჭო ძრავის დანადგარს მოკლე დროით რთავდნენ.

ხომალდის ყველა სისტემა და სამუხრუჭო ძრავის დანადგარი შემოწმებითი მანევრის მსვლელობაში ნორმალურად მუშაობდა.

მორიგი სატელევიზიო რეპორტაჟის სეანსის დროს კოსმონავტებმა უპასუხეს ტელემაყურებლებისაგან მიღებულ კითხვებზე.

15 საათიდან და 30 წუთიდან 16 საათამდე და 18 წუთამდე ხორციელდებოდა ექსპერიმენტი „მზის ამოსვლის ფოტოგადაღება“. მისი მიზანია ატმოსფეროს ოპტიკური თვისებებისა და მზის სინათლის ატმოსფერული შთანთქმის გაზომვა. ექსპერიმენტის მსვლელობაში აწარმოებენ ამობავალი მზის ფოტოგადაღებას.

შემდეგ ეკიპაჟმა შეასრულა დასკვნითი ნაწილი ბიოლოგიური ექსპერიმენტებისა — „თევზების ემბრიონული განვითარება“ და „მიკროორგანიზმების ზრდა“.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით და ეკიპაჟის მოხსენებების მიხედვით ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს, კოსმონავტები კარგად გრძნობენ თავს.

□ □

პროგრამა წარმატებით სრულდება

პიუსტონი, ფრენის მართვის ცენტრი, 21 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). „სოიუზ-19“ საბჭოთა კოსმოსურ ხომალდთან საბოლოო განპირაპირების შემდეგ ამერიკული ხომალდმა „აპოლონმა“ განაახლა ავტონომიური ფრენა.

19 ივლისს თ. სტაფორდი, ჯ. ბრანდი და დ. სლეიტონი მეცნიერულ კვლევას ეწეოდნენ „სოიუზ-აპოლონის“ ერთობლივი ფრენის ფარგლებში, აგრეთვე აწარმოებდნენ ზოგიერთ დამოუკიდებელ მეცნიერულ ექსპერიმენტს. ერთობლივი ექსპერიმენტის „ულტრაიისფერი მთვნთქმის“ განხორციელებისათვის „აპოლონმა“ რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე შემოუფრინა ხომალდ „სოიუზს“. ამ დროს მოეწყო საბჭოთა ხომალდის ფოტოგადაღება. როგორც ჰიუსტონის ფრენის მართვის ცენტრში განაცხადეს, მიღებული ფოტოსურათების ხარისხი კარგია. მაგრამ როგორც ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, ექსპერიმენტის პირველ სტადიაში მიღებულმა მონაცემებმა ვერ გაამართლა იმედი. ამერიკელ ასტრონავტთა თხოვნით „სოიუზი“ 180 გრადუსზე შემოაბრუნეს „სოიუზის“ ხელსაწყო ავრეგატის ნაკეთეურზე მოთავსებული კეთილი ამრეკლის საშუალებით ექსპერიმენტის განგრძობისათვის. ახალმა გაზომვებმა საუსებით დააკმაყოფილეს მეცნიერები.

დაახლოებით 23. საათზე მოსკოვის დროით „აპოლონმა“ შეასრულა წასვლის მანევრი, რომ თავიდან აეცილებინა „სოიუზთან“ შეტაკება ფრენის მომავალ მონაკვეთზე.

ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „აპოლონის“ ეკიპაჟმა განახორციელა აგრეთვე ბიოლოგიური ექსპერიმენტები: „მიკრობების გაცვლა“, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანის იმუნურ სისტემაზე კოსმოსური ფრენის პირობების გავლენის კვლევისათვის, აგრეთვე „ზონაწარმომქმნელი სოკოები“, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა სოკოს სადღეღამისო რიგლების წარმოშობის პროცესზე კოსმოსური ფრენის პირობების გავლენის შესწავლა. განაგრძეს ცდა უნივერსალური ელექტროლუმენის ექსპერიმენტულ სისტემაზე. „აპოლონის“ ეკიპაჟი აკვირდებოდა დედამიწას და ღებულ მისი ზედაპირის ფოტოსურათებს.

20 ივლისს დილის 4 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით ასტრონავტებს დაეწყოთ დასვენება.

ფრენის ხელმძღვანელმა ამერიკის მხრივ პიტ ფონანმა, რომელმაც შეაჯამა დღის შედეგები, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი მეტად საინტერესო იყო. ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირთან ერთად უნდა შეგვასრულებინა. შესრულდა. თქვა მან. შედეგებმა ჩვენი იმედი გაამართლა. პიტ ფონანმა აღნიშნა, რომ ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს და საბჭოთა კავშირის ფრენის მართვის ცენტრთან მყარი მუდმივი **კავშირია** დამყარებული.

ა. ბობიკოვი,
ვ. ჩუქსეევი.

ა შ შ თეთრი სახლის განცხადება

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ფორდი მონაწილეობას მიიღებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის უმაღლესი დონის თათბირში, **რომელიც** ჰელსინკში **გაიმართება** ამ თვის დამლევს. ეს გამოაცხადა თეთრმა სახლმა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა თქვა, რომ პრეზიდენტ ფორდის მონაწილეობა უმაღლესი დონის თათბირში გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების აზრს, რომ დასკვნითი დოკუმენტი, რომელსაც ხელს მოაწერენ ჰელსინკში, პოზიტიური ნაბიჯი იქნება ახლანდელ ლობირებებში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უფრო სტაბილური და სასარგებლო ურთიერთობის შექმნისათვის.

კ. ვალდჰაიმის მოლოდინი

ნიუ-იორკი, (საკდესი). უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია „საუკეთესო დირექტივად“ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტისათვის, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ამერიკის ტელევიზიით გამოსვლის დროს.

როგორც ცნობილია, ამ რეზოლუციის ქვაკუთხედად ოკუპირებული არაბული მიწებიდან ისრაელის ჯარების გამოყვანის მოთხოვნა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, შეეხო რა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის გადაწყვეტილებას, რომ არ გაეგრძელებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალებს მანდატი სინის ნახევარკუნძულზე, აზრი გამოთქვა; რომ ეგვიპტემ მაინც ღია დაუტოვა კარები შეთანხმებას მანდატის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, რომელიც მთავრდება 24 იანვარს. კ. ვალდჰაიმმა აღნიშნა, ეგვიპტეს სურს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაიჭიროს მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთში მოწესრიგების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოველისმომცველი მოწესრიგება უნდა შეიცავდეს პალესტინის საკითხის **გადაწყვეტას,** ხაზი გაუსვა კ. ვალ**დჰაიმმ**ა.

შემთხვევა

ძლიერი ხანძარი

ოტაპა. ძლიერმა ხანძარმა თითქმის მთლიანად **მოხსნა ქალაქ სპრინგმილის ცენტრი** კანადის **ახალი შოტლანდიის პროვინციაში.** მსხვერპლი **მოსახლეობაში** არ ყოფილა, **მაგრამ ქალაქის მატერიალური ზარალი ძალიან დიდია.** (საკდესი).

21 ივლისი

ამბები • ფაქტები

შვეიცარია

მეორე ეტაპი დამთავრდა

ჟენევა, (საკდესი). მუშაობა დასასრულთან **ევროპის** უშიშროებისა და **თანამშრომლობის** თათბირის **მეორე ეტაპმა.** საკორდინაციო კომიტეტმა — **მეორე ეტაპის** ხელმძღვანელმა ორგანომ — **რეგისტრაციაში** გაატარა **თათბირის** დღის წესრიგის ოთხივე **პუნქტის** დასკვნითი **დოკუმენტებიდან:** ტექსტები: **ევროპის** უშიშროების **საკითხები;** **თანამშრომლობა** ეკონომიკის, **მეცნიერებისა** და **კულტურის** **და** **გარემოს** **დაცვის** **დარგში;** **თანამშრომლობა** ჰუმანიტარულ **და** **სხვა** **დარგებში;** **თათბირის** **შემდგომი** **ღონისძიებანი.**

შეუშვავებული **დოკუმენტები** **წარმოადგენენ** **დასკვნითი** **აქტის** **საფუძველს,** **რომელსაც** **ხელს** **მოაწერენ** **ჰელსინკის** **უმაღლესი** **დონის** **თათბირის** **მესამე** **ეტაპის** **მონაწილე** **სახელმწიფოთა** **წარმომადგენლები,** **ეს** **თათბირი** **გაიხსნება** **30** **ივლისს.**

თათბირის **დღის** **წესრიგის** **პირველ** **პუნქტზე** — **ევროპის** **უშიშროების** **საკითხებზე** — **დოკუმენტის** **ძირითადი** **შინაარსი** **წარმოადგენს** **იმ** **პრინციპების** **დეკლარაციას,** **რომლებითაც** **იხელმძღვანელებენ** **მონაწილე** **სახელმწიფოები** **ურთიერთდამოკიდებულებაში.**

აი ეს პრინციპები:

1. **სუვერენული** **თანასწორობა,** **სუვერენიტეტის** **დამახასიათებელი** **უფლებების** **პატივისცემა;** 2) **ძალის** **ან** **ძალით** **დამუქრების** **გამოუყენებლობა;** 3) **საზღვრების** **ხელშეუხებლობა;** 4) **სახელმწიფოს** **ტერიტორიული** **მთლიანობა:** 5) **სადავო** **საკითხების** **მშვიდობიანი** **მოწესრიგება;** 6) **საშინაო** **საქმეებში** **ჩაურევლობა:** 7) **ადამიანის** **უფლებათა** **და** **ძირითად** **თავისუფლებათა,** **მათ** **შორის** **აზრის,** **სინდისის,** **რელიგიისა** **და** **რწმენის** **თავისუფლების** **პატივისცემა;** 8) **თანასწორუფლებიანობა** **და** **ხალხთა** **უფლება—განაგონ** **თავიანთი** **ბედი;** 9) **სახელმწიფოთა** **თანამშრომლობა;** 10) **საერთაშორისო** **სამართლის** **ვალდებულებათა** **კეთილსინდისიერი** **შესრულება.**

მანამდე **საკოორდინაციო** **კომიტეტმა** **რეგისტრაციაში** **გაატარა** **დღის** **წესრიგის** **სხვა** **სამი** **პუნქტის** **დოკუმენტების** **ტექსტები** — **თანამშრომლობა** **ეკონომიკის,** **მეცნიერებისა** **და** **ტექნიკის** **და** **გარემოს** **დაცვის** **დარგში;** **თანამშრომლობა** **ჰუმანიტარულ** **და** **სხვა** **დარგებში;** **თათბირის** **შემდგომი** **ღონისძიებანი.** **ამგვარად,** **მიღებულია** **დოკუმენტები** **თათბირის** **დღის** **წესრიგის** **ოთხივე** **პუნქტზე.**

ფოტოინფორმაცია

მალის **რესპუბლიკა.** **ბამაკოში** **შექმნილია** **რუსული** **ენის** **კურსები.** **იგი** **გაიხსნა** **13** **წლის** **წინათ** **და** **დიდად** **პოპულარულია.** **ყოველწლიურად** **ასობით** **მსმენელი** **მოდის** **აქ,** **რათა** **რუსულ** **ენას** **დაეუფლოს,** **გაეცნოს** **ვ.** **ი.** **ლენინის** **შრომებს,** **რუსი** **და** **საბჭოთა** **ავტორების** **ნაწარმოებებს,** **საბჭოთა** **კავშირის** **ისტორიას.**

სურათზე: **მსმენელთა** **ჯგუფთან** **მეცადინეობას** **ატარებს** **საბჭოთა** **მასწავლებელი** **ვალერია** **გერეა.**

საკდესის **ფოტო.**

საქართველოს ჟურნალისტთა ღირებულებანი ამოცანები

ამ **დღეებში** გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის, ტელევიზიისა და რადიოს, საინფორმაციო სააგენტოს მუშაკები, თბილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, რადიოსა და ტელევიზიის, საქინფორმისა და გამომცემლობათა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, ჟურნალისტთა პირველადი ორგანიზაციების მდივნები, ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთების საკუთარი კორესპონდენტები.

პლენუმი გახსნა გაზეთ „ზარიას ვოსტოკის“ რედაქტორმა ო. ქინქლაძემ.

მოხსენება „ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მოსკოვის ბიუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, სკკპ XXV ყრილობისათვის მზადება და საქართველოს ჟურნალისტთა ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ გააკეთა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა. დ. მშვილდშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. გარდაფხაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმის დირექტორის მოადგილე ვ. გელაშვილი, გაზეთ „აფხაზეთის“ რედაქტორი ს. ყანეგინია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის გამგე პროფესორი დ. ბაქრაძე, გაზეთ „ვეჩერნაია ტბილისის“ განყოფილების გამგე ს. გველესიანი, სამტრედიის რაიონული გაზეთის „წინსვლის“ რედაქტორი ვ. ნიკოლაშვილი, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორი ა. ბლრიანი, ქუთაისის საქალაქო გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი გ. მეფისაშვილი, გაზეთ „სოვეტ ფრისთონის“ რედაქტორი პ. თედეევი, ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ რედაქტორი ჯ. ჩაგელიშვილი, გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგე ლ. მელუნა.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა მთელი პრინციპულობით, საქმიანად ილაპარაკეს იმ საკითხებსა და პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვასთან მოსკოვის ბუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, იმაზე, თუ როგორ მოვახმაროთ უკეთ ჩვენი ნიჭი და შთაგონება პარტიის საბრძოლო დავალებების შესრულების, სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა ღირსეულად შეხვედრას. ამ საკითხების საინტერესოდ და მრავალფეროვნად გაშუქება წარმოადგენს ახლა ჩვენი პრესის საბრძოლო ამოცანას.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმეს ჟურნალისტთა კადრების მომზადებას, ჟურნალისტთა პროფესიულ დაოსტატებას და დაკისრებული მოვალეობისათვის პასუხისმგებლობის გაზრდას. მთელ რიგ სარედაქციო კოლეგიებში, როგორც აღინიშნა პლენუმზე, — ჯეროვან დონეზე ვერ დგას თანამშრომელთა **პასუხისმგებლობა** მინდობილი საქმისათვის, მთლიანად რედაქციებში საქმის მდგომარეობისათვის შექმნილი არ არის მაღალი მომთხოვნელობა და დისციპლინა, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ვითარება. ხშირად გაზეთების გამოსვლებს აკლია სიღრმე და კომპეტენტურობა, ლაკონიურობა და აკადემიურობა, დამაკმაყოფილებელი არ არის ცალკეული მასალების პროფესიული დონე.

პლენუმის მიერ მიღებულ ოზოლუციაში ნათქვამია, რომ საქართველოს ჟურნალისტები მთელ თავიანთ ცოდნასა და ნიჭს მოახმარენ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა ღირსეულად შეხვედრას, კიდევ უფრო აამაღლებენ ჩვენი პრესის როლს პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით გადაწყვეტაში. რომელიც თვითეული ჟურნალისტის პარტიული და პროფესიული მოვალეობის, ღირსების საქმეა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. **ბედინეიშვილი.** (**საქინფორმი**).

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ

□

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲒᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

□

კონსტანტინე გამსახურდია

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ძეთეგან მაღალაშვილის ნამუშევარი.

კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნას

სიტყვის დიდოსტატი

ხალხის სიყვარული

ქართველ მწერალთა ოჯახს დღეს სამუდამოდ სტოვებს კონსტანტინე გამსახურდია. იგი ფიზიკურად მიდის ჩვენგან, რომ განაგრძოს თავისი ახალი დიდი ცხოვრება მშობელი ხალხის მარადიულ ხსოვნასა და სიყვარულში.

ფართო და მრავალმხრივმა ხელოვნურ და საზოგადოებრივმა ინტერესმა, მაღალმა ნიჭმა და დიდმა შემართებამ გამსახურდიას შთაგონებამ მისცა მძლავრი ფრთები, ასე მაღლა საფრენად და ესოდენ მაღალი მწვერვალების დასაპყრობად.

გამსახურდიას მწერლური პროფესიონალიზმი და იმისათი შრომისმოყვარეობა სანიმუშო იყო მთელ ქართულ მწერლობაში და იგი მომავალშიც მაგალითად დარჩება მწერალთა ახალ თაობებს.

კონსტანტინე გამსახურდიამ თავის დიდ თანამებრძოლებთან ერთად ჩვენს ლიტერატურას შეუქმნა დიდი სუნთქვის წიგნები, რომლებშიც გათვალისწინებულია ჩვენი დროის რუსული და დასავლური პროზის უმთავრესი მიღწევები.

„მთვარის მოტაცებამ" და „დიდოსტატის მარჯვენამ" ჩვენს ეროვნულ ლიტერატურაში შექმნეს ახალი ეტაპი, რომელიც მხარს უსწორებს მეოცე საუკუნის ბელეტრისტიკის საუკეთესო მონაპოვრებს და ფართო გზაზე გამოჰყავთ ქართული საბჭოთა მწერლობა.

იგი ადვილად, რიდი მიგიდა „მთვარის მოტაცებასა" და „ვაზის ყვავილობამდე". მან როგორც ადამიანმა და შემოქმედმა ბევრი შინაგანი წინააღმდეგობა დაძლია იმისათვის, რომ საბჭოთა საქართველოს გულწრფელი მომდერალი და მისი ერთ-ერთი აქტიური მშენებელი გამხდარიყო.

მან, როგორც მხატვარმა და ჰამლეტოლოგ ერთგულმა პატრიოტმა საბოლოოდ ირწმუნა ახალი საქართველოს გამარჯვება და ამ განახლებულ სამშობლოს უძღვნა შედევრები, რომლებშიც საქართველოს წარსულისა თუ დღევანდელი დღის გმირთა ხელის მდუღარება და ენერგია ერთმანეთს ერევა.

ცალკე აღსანიშნავია ის ღვაწლი, რომელიც გამსახურდიას მიუძღვის ჩვენი მშობლიური ენის განვითარებასა და გამდიდრებაში.

იგი ბედნიერი იყო იმით, რომ მოესწრო თავისი შემოქმედების დიდ რიგელს, საყოველთაო-სახალხო აღიარებასა და სიყვარულს.

დღეს ჩვენს მწუხარებას იზიარებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, ჩვენთან ერთად გლოვობს კ. გამსახურდიას გარდაცვალებას მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა, რომლის მშვენებასა და სიამაყესაც ქართველი დიდოსტატი წარმოადგენდა.

კონსტანტინე გამსახურდიას მუდამ ცხონი არა კვდებიან, ისინი გარდაიცვლებიან და მარად იცოცხლენენ ხალხის ხსოვნასა და სიყვარულში. ეს რწმენა უმსუბუქებს დღეს ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის სიმძიმეს ქართულ მწერლობასა და ქართველ ხალხს.

გრიგოლ აბაშიძე.

კლასიკოსი

სიცოცხლეშივე კლასიკოსის სახელი იშვიათად თუ მოუპოვებია მწერალს, ხოლო ვინც დაიმსახურა, რჩეულთა შორის რჩეული იყო, როგორც კონსტანტინე გამსახურდია. მისი განუმეორებელი სახელის უკვდავებას ამშვენებენ ვრცელი ისტორიული ტილო — ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი". საოცარი მხატვრული ძალით დაწერილი რომანები — „დიდოსტატის მარჯვენა", „მთვარის მოტაცება", „დიონისოს ღიმილი", „ვაზის ყვავილობა", აგრეთვე ენციკლოპედიური სახიათის მრავალი წერილი, რომლებშიც მეცნიერის ლოგიკური კატეგორიები პოეტის მხატვრულ სახეებს უსურვაზივით ეხვევიან.

დიდი, ნამდვილად დიდი მწერალი, დიდი შემოქმედი კაცი იყო კონსტანტინე გამსახურდია! მას უსაზღვროდ უყვარდა მშობლიური, ქართული კულტურა, მეცნიერება, ლიტერატურა; ისტორიულ ანალებში არაჩვეულებრივი სიზუსტით ხედავდა წარსულს, როგორც აწმყოს გაკვეთილს. პატრიოტული გრძნობა უკარნახებდა ტიტანურად ემრომა მერჩულედან მომავალი ჩვენი დიდი ბელეტრისტული ტრადიციების ახალ მწვერვალებზე ასაყვანად. გადამწყვეტი მაინც ორიგინალობით მბრწყინავი და ანდამატივით მიმზიდველი უნადო ტალანტი იყო, რომლითაც კონსტანტინე გამსახურდია ყოველთვის გამოირჩეოდა. მისი დიდტანიანი რვატომეული, რომლითაც მწერალი თავისი ცხოვრების რვაათეულ წელს შეეგება, ამ დებულების ყველაზე მეტყველი ილუსტრაციაა. ეპინრთ ეპიკოსი, ის ყველგან ლირიზმს მიმართავდა არა მარტო მოქმედ გმირთა შინაგანი ფსიქოლოგიური განცდების მხატვრული უკუფენის დროს, პეიზაჟების წარმოსახვისა და ოსტატური დიალოგების პროცესშიც.

ის პირდაპირ მოწამებრივი თავდადებით მუშაობდა ქართულ სიტყვაზე, რომელიც ასე უყვარდა, რომელსაც ასე შეეზარდა ყმაწვილობიდანვე. რაინდული გატაცებით იკვლევდა ქართული სიტყვის მორფოლოგიას, ცდილობდა არქაულისათვის ახალი სიცოცხლე მიეცა, ნეოლოგიზმებს არ დაეკარგათ გრამატიკული თავისებურებანი. სინტაქსურ ექსპერიმენტებს — ფრაზის ბუნებრივობა.

„დავით აღმაშენებლისა" და „დიდოსტატის მარჯვენის" ავტორმა თავის რომანებში ახოინი ისტორიული პირი გააცოცხლა, ასობით ახალი სახე შექმნა წარსულის კოლორიტული წარმოსახვისა და მისი ყოველმხრივი მთლიანობის აღსადგენად.

მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია მარტო ისტორიული თემატიკით რიდი შემოისაზღვრა. ნოველებისა და მოთხრობების გარდა, ახალ სინამდვილეს მიუძღვნა ისეთი ფართო მხატვრული ტილობები, როგორიც არის „დიონისოს ღიმილი", „მთვარის მოტაცება", „ვაზის ყვავილობა". პირველ რომანში ზედმეტად ადამიანის პრობლემას, რომელსაც მე-19 საუკუნის ლიტერატურამ ასე დიდი ადგილი დაუთმო, გამსახურდიამ ახალი კუთხით შეხედა ჩვენი ეპოქის რევოლუციური გაჯანების ფონზე, ხოლო კონსტანტინე სავარსამიძის პიროვნული ტრაგედია გვიჩვენა, როგორც სოციალური ჭიდილის საფუძველზე ინდივიდუალისტური განსხვავების რეალური საბედისწერო შედეგი. „მთვარის მოტაცებაში" მწერალმა დიდ მხატვრულ განზოგადებას მიაღწია, როცა ძველისა და ახლის დრამატული ბრძოლა მეორის გამარჯვებით დაგვირგვინა. „ვაზის ყვავილობამ" ახალი სოფლის, მისი ახალი ადამიანების, საკოლმეურნეო წყობის გამძლეობა ორგანულად წარმოგვიდგინა მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა მეომრების გმირული შემართების პარალელურად.

„დავით აღმაშენებლის" მრავალმხრივმა ავტორმა პირდაპირ ტიტანური შრომა გასწია ლიტერატურული მოღვაწეობის სხვა დარგებშიც. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ იტალიურიდან თარგმნილი დანტეს „ღვთაებრივი კომედია", ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით, არა მარტო თვით მწერლის, მთელი ქართული საბჭოთა კულტურის უეჭველად დიდი გამარჯვება იყო. გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის" ქართულ ენაზე ბრწყინვალედ ამეტყველება, ისე როგორც მშვენიერი „გოეთეს ცხოვრების რომანი" გამსახურდიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის ოქროს ფონდს განეკუთვნება. მან აგრეთვე შესანიშნავად თარგმნა დიდი ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის „ბალახის ფურცლები".

თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი კონსტანტინე გამსახურდია ხალხთა შორის მეგობრობის მთესველიც იყო. მრავალმხრივი განათლება მას საშუალებას აძლევდა ღრმად შეეფასებინა სხვა ერების ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება. აუდელვებლად, გაუტაცებლად, ვერ წაიკითხავთ გამსახურდიას წერილებს ლეონარდოს, ბაირონის, ბალზაკის, მანნის, გოგოლის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, სტეფან ცვიგეგის, რილკეს, დენირჭიანის, ისაკიანის, რაინერ მარიას, იბსენის, ათობით სხვა გამოჩენილ საბჭოთა და უცხოელ მოღვაწეთა დამსახურებაზე.

კონსტანტინე გამსახურდია უკვდავია ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც მხატვრული აზროვნების შეუდარებელი დიდოსტატი და უმაღლესი გამწყაზრული ხელოვანი!

გიორგი ჯიბლაძე.

მეგობართა სამკითხვის სიტყვა

კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალება მძიმე დანაკლისია არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურისათვის. შეუძლებელია წარმოიდგინო საქართველოს ისტორია, მისი დღევანდელობა ამ ბრწყინვალე ოსტატის წიგნების გარეშე, რომლებიც მთელი თანამედროვე ქართული ლიტერატურის სიამაყეა. შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, რომ მისი წიგნები ცოცხლობენ და მომავალშიც იცოცხლებენ მშობლიურ ქართულ ენაზე და მსოფლიოს სხვადასხვა ენებზეც.

კონსტანტინე სიმონოვი,

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ჟ. მოსკოვი.

ღრმად ვარ დამწუხრებული, თქვენთან ერთად განვიცდი და თავს დაბლა ვხრი დაუვიწყარი მეგობრის, გამოჩენილი ქართველი მწერლის, უკრაინის ერთგული ძმადნაფიცის, ძვირფასი კონსტანტინე გამსახურდიას ცხედრის წინაშე. იგი ხალხისთვის ცხოვრობდა და ხალხში მარად იცოცხლებს. სამარადისო ხსოვნა და დიდება მის სახელს!

მიკოლა ბაჟანი,

უკრაინის სსრ სახალხო პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. ჟ. კიევი.

სომეხი მწერლები ღრმად დაამწუხრა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი მწერალი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სომეხი ხალხის დიდი მეგობრის კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებამ.

წავიდა ჩვენგან შემოქმედი, რომელმაც დაგვიტოვა უნიკალური და ნათელი ნაწარმოებები, „დიდოსტატის მარჯვენა" იქნება ეს თუ ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი", „მთვარის მოტაცება" თუ „ვაზის ყვავილობა". მძიმე დანაკლისია კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალება არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისათვისაც.

ვ. პეტროსიანი, ა. საღიანი, გ. სარიანი, ჰ. ოვანესიანი, ს. კაპუტიკიანი.

ჟ. ერევანი.

„კომუნისტის" კუბლიკაცია

კოხტას ციხის გაკვეთილი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა მცირე კრიტიკული შენიშვნა, რომელშიც ლაპარაკი იყო ჩვენი ძველი კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობაზე და აღნიშნული იყო, რომ გაგერანების პირზეა მისული ე. წ. კოხტას ციხე მესხეთში. ამის თაობაზე მწერალმა გამოგვიგზავნა პატარა წერილი, რომელიც ჩვენი კულტურის ძეგლების დაცვისადმი მიძღვნილი სპეციალური გვერდისათვის გავამზადეთ. აი რას წერდა დიდი მწერალი:

დიდის გულისტკივილით წავიკითხე ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული შენიშვნა, რომელიც ეხება კოხტას ციხის დანგრევას.

ფრიად და ფრიად სამწუხაროა, რომ ჩვენს განახლებულ საქართველოში ინგრევა ციხეები და ტაძრები, ჩვენი დიდებული წარსულის მოწმენი, რომელნიც გადაურჩნენ ბარბაროსთა უთვალავ ინვაზიებს.

ძეგლებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება იწვევს ყოველივე ამას.

მაგალითისათვის მახსენდება დავით გარეჯის დიდებული სამონასტრო კომპლექსის აწინდელი მდგომარეობა. შესაძლოა ბევრმა არც კი იცის, რომ ბერეთუბნის ერთი ნაწილი უკვე დაინგრა, ხოლო უახლოეს ხანში შესაძლოა წავიკითხოთ გაზეთში ცნობა: „დაინგრა დავით გარეჯის იგავმიუწვდენი ფრესკებით მოხატული გამოქვაბულები". მაშინ გვიანღა იქნება თავში ხელის ცემა და დამნაშავეთა ძიება. კოხტას ციხის დანგრევამ უნდა დააფიქროს უწინარეს ყოვლისა ძეგლთა დაცვის მუშაკები, ადამიანი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ძეგლთა დაცვა და რომელიც ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენს ძეგლთა ბედისადმი, არაფრით არ განსხვავდება იმ ბარბაროსისგან, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა კულტურის უნიკალურ ძეგლებს.

კონსტანტინე გამსახურდია

გამოთხოვება მწერალთან

დღეს, 22 ივლისს, დიდი ქართველი საბჭოთა მწერლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის კონსტანტინე გამსახურდიას ცხედარი დასვენებული იქნება საქართველოს მწერალთა სახლის (მაჩაბლის ქ. № 13) დარბაზში, სადაც დღის 3 საათზე შედგება სამოქალაქო პანაშვიდი.

გამოსვენება დანიშნულია დღესვე 6 საათზე მწერალთა სახლიდან. გასვენებულის სურვილისამებრ დაკრძალვა მოხდება გალის ქ. № 15-ში.

სამშობლოს ფილი

დაცარიელდა დიდი მოედანი. წავიდა ჩვენგან საბჭოთა საქართველოს დიდი სინამდვილისა და წარსულის ბრწყინვალე მხატვარი კონსტანტინე გამსახურდია — ახალი, თვითსებური. ჩვენი მწერლობისათვის მასამდე უნიკალური, მოულოდნელი და ზოგჯერ ზედმეტად გაბედული, მაგრამ მნიშვნელოვანი და ამით გამარჯვებული. მწერალი, რომელმაც სულ სხვა მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებით დაიწყო, მაგრამ, როგორც ყველა დიდი შემოქმედი, გუმანმა სინამდვილის რეალისტურ ხატვამდე მიიყვანა. ამაზე ხომ მან თვითონვე თქვა ბოლოს, „მე ჩემი ბუნებისა და მწერლური ტემპერამენტის მიხედვით დეკადენტი არასოდეს ვყოფილვარო."

იქნებ თქმაც არ უნდა, განსაკუთრებით მძიმეა მასთან გამოთხოვება ახლო მეგობრებისათვის, თუმცა უკვე მოულოდნელი აღარაფერი იყო. დაიშრიტა და გაწყდა თითქოს დაუშრეტელი და განუწყვეტელი სიტყვა, რომელიც ექვსი ათეული წლის მანძილზე აღგზნებულად ისმოდა ჩვენს ქვეყანაში. დამთავრდა ათეული წლების გაბმულად უძილო ღამეები. დაუსრულებელი ფუფუფუსი საკუთარ წარმოსახვებით შექმნილ სახეებთან სოლოლაკსა და „ოოლხურ კოშკში", ნაკლები ლიტერატურული კამათები ტრიბუნებსა და პრესის ფურცლებზე, მოუსვენარი თვლემა ავტომანქანის ბორბლების ტრიალში ალეთსა და ხევსურეთში; ამოწურა „წინაპრების ჩვენს უშრეტი ენერგია". დიდხანს, ძალიან დიდხანს ებრძოდა სიბერეს, რადგან მართლაც „არავის ისე არ უჭირს სიბერის ჭირი, როგორც პოეტს, რადგან მასში ყველაზე ხანგრძლივად ცხოვრობს ბავშვი და ჭაბუკი". რა ბევრს ვლაპარაკობდით ბოლო წლებში ამ ლამაზად, მაგრამ მწარედ თქმულ ჭეშმარიტებაზე.

„დიდოსტატი" — ასე უწოდა მადლიერმა მკითხველმა თვით მას, კონსტანტინე გამსახურდიას; „არც მომეტებული პოპულარობის წყურვილი, არც ჩემი ლიტერატურული ოპოზიციის შეძახილი არასოდეს მაიძულებს მდარე გემოვნების დონეზე ჩამოსვლას". ამ დიდოსტატური აღთქმისათვის მას ბოლომდე არ უღალატია.

კონსტანტინე გამსახურდია ამიერიდან უკვე საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას ეკუთვნის. დიდია მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მის სახელს მუდამ ღირსეულად მოიხსენიებს მადლიერი სამშობლო.

ირაკლი აბაშიძე.

მეწერალი, მეცნიერი, მამულიშვილი

წავიდა ჩვენგან კონსტანტინე გამსახურდია — ქართული მხატვრული სიტყვის დიდი ხელოვანი, საყვარელი მწერალი, მწერალი-მოაზროვნე, მეცნიერი-მკვლევარი, ესეისტი და მახვილი კრიტიკოსი, მამულიშვილი.

კონსტანტინე გამსახურდია იყო უნიკალური ნიჭის პატრონი, შემოქმედი, სწორუპოვარი ერუდიტი, ეროვნული მწერალი-მოქალაქე. კ. გამსახურდიამ მწერლობის მრავალ დარგსა და ჟანრში დატოვა უხარბზარი ნაკვალევი. მაინც მისი სტიქია იყო მხატვრული პროზა. კ. გამსახურდიას დიდი რომანები იქნება თუ მომხიბლავი პატარა ნოველები, შორეულ წარსულს ეძღვნება მისი შთამაგონებელი ნახელავი თუ აწმყო ცხოვრებას, ყველაფერს მსჭვალავს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების მტკიცე შეგნების მადლი. შთამბეჭდავი და ღრმა შემეცნებითი მნიშვნელობის მქონეა კ. გამსახურდიას მრავალრიცხოვანი ნარკვევები, ესეები, ესკიზები უცხოური, რუსული და ქართული მწერლობის საკითხებზე. მშვენიერია მისი წერილები შოთა რუსთაველზე, სულხან-საბა ორბელიანზე, დავით გურამიშვილზე, ვაჟა-ფშაველაზე, გალაკტიონ ტაბიძეზე.. ვინ დაივიწყებს (თუ ბედნიერება ჰქონდა მოესმინა) კ. გამსახურდიას მეზნებარე სიტყვებს „წერილი კაშრის ტრიბუნიდან" სანიმუშოა კ. გამსახურდიას უზადო თარგმანები უცხოელი და თანამოძმე ხალხების საუკეთესო ლიტერატურული ძეგლებისა (მარტო დანტეს „ღვთაებრივი კომედიას" თარგმანი რად ღირს!)

წავიდა კ. გამსახურდია, ახალი სოციალისტური სამშობლოს დიდი მესიტყვე. წავიდა და დაგვიტოვა მოსავლელად დიდი განძი, დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა. არა ერთი და ორი თაობა აღიზრდება, გაიწაფება და დაუჯდება ამ შემკვიდრეობის შესწავლასა და თვისებაზე. მომავალი კიდევ ბევრს იტყვის კონსტანტინე გამსახურდიაზე, როგორც მწერალზე, მოაზროვნესა და მოქალაქეზე.

კონსტანტინე გამსახურდია უკვე ისტორიას ეკუთვნის, ოღონ მტკიცედ დაკავებს ამ ისტორიაში დიდი ქართველი საბჭოთა მწერლის სატატიო ადგილს.

ალექსანდრე ბარამიძე.

შენ უკვდავების ხარ ბინადარი

დღეს მთელ მგლოვიარე საქართველოსთან ერთად ქართული მწერლობის დიდი ოჯახი, ჩვენი ეროვნული კულტურის ყოველი მოდვაწე მწვავე გულისტკივილით, მაგრამ განუზომელი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით მიაცილებს უკანასკნელ გზაზე ჩვენს დიდ თანამედროვესა და თანამემამულეს, ჩვენი საუკუნის მხატვრული სიტყვის საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ დიდებულ ხელოვანს — კონსტანტინე გამსახურდიას.

თავისი მართლაც დიდოსტატური მარჯვენით კ. გამსახურდიამ გამოძერწა რომანებისა და ნოველების ურიცხვ პერსონაჟთა უაღრესად მდიდარი გალერეა. ისინი — ჩვენი თანამედროვეები, დღევანდელობის რიგითი ადამიანები თუ შორეულ ეპოქათა ისტორიული პიროვნებანი, კ. გამსახურდიას სასწაულმოქმედი კალმის მიერ გაცოცხლებულნი, ისე გამოიყურებიან, თითქოს ჩვენი მახლობლები და ნაცნობები ცხოვრობენ ჩვენთან, მკითხველებთან ერთიერთობაში.

კ. გამსახურდიამ ორგანულად შეათავსა თავის მხატვრულ მეტყველებაში ეპიკური და ლირიკული ნაკადები, ემოციური და ინტელექტუალური საწყისები და ამგვარი სინთეზის ნიადაგზე შექმნა პოეტური პროზის ნიმუშები.

„ვაზის ყვავილობის" ავტორი არასოდეს არ შემოფარგლულა ეიწრო ეროვნული ჩარჩოებით, არც თავის მხატვრულ და მოქალაქეობრივ აზროვნებაში და არც თავისი შემოქმედების პრობლემატიკისა და თემატიკის მხრივ.

უღრმესი ფესვებით იყო დაკავშირებული კ. გამსახურდია შშობლიური და უცხოური კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებთან, მაგრამ ამავე დროს იგი იყო ჭეშმარიტი ნოვატორი, დაყენებული მაძიებელი მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედების ახალი ფორმებისა.

წავიდა ჩვენგან და გადასახლდა თავეს მარადიულ ცხოვრებაში, მადლიერ სამშობლოს დიდ ისტორიაში, ხალხის ხსოვნაში, ხანგრძლივი შრომითა და ბრძოლით მოპოვებულს უკვდავებაში ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი კონსტანტინე გამსახურდია და ჩვენ გვინდა დამშვიდობების ამ მძიმე წუთებში მივმართოთ მას მისი დიდი თანამედროვის, თანამოკალმის გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებით:

მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი.
შენ სივრცეებმა დაგიბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

ბესარიონ ჟღენტი.

წლები და ფოტოსურათები

სურათებზე: მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ კონსტანტინე გამსახურდიასა და ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილ მკვლევარს კორნელი კეკელიძეს, 1960 წ. (მარცხნივ); შუა სურათზე მწერალი აღბეჭდილია თავის სამუშაო მაგიდასთან „ოოლხურ კოშკში", სადაც მისი შემოქმედების ბევრი უკვდავი ფურცელია შექმნილი, 1963 წ.; ძველ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მწერალი კი ფოტოკორესპონდენტ დ. მძინარაშვილს მცხეთის ჯვრის გადასახედთან გადაუღია, 1963 წ.

მარადისობაში გადასული

ერის ულაღლი ენერგიის, ერის ულაღლი ენერგიის, ერის ულაღლი ენერგიის,

ბამს ქართველებიც აშენებენ

ნია გრუზინსკაია

ჟურნალისტი ხუთწლედის დიად მშენებლობებზე

უსტ-კუტში პარტიის საქალაქო კომიტეტში მითხრეს, ნაში ისეთი უფროსია, რკინის ხასიათი აქვსო. ა. დვალიშვილს ხასიათი მართლაც რკინისა ჰქონდა. ეს იქიდანაც გამოჩნდა, თუ როგორ ჩამოაყალიბა მან თბილისში ბამელთა რაზმი და იმამდეც, თუ როგორ მოქმედებდა იგი რთულ სიტუაციებში, რომლებშიც რაზმი ადგილზე ჩამოსვლისას მოხვდა. ა. დვალიშვილმა „კარგი სკოლა გაიარა. უკვე გითხარით, რომ იგი „ბიკვინომშენის“ მთავარი ინჟინერი იყო. ციმბირში წასვლამდე კი რამდენიმე წელიწადს თეირანში მუშაობდა, ხელმძღვანელობდა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს, რომელიც 10 ათასი ტონა ტვირთობის მაცივარს — ირანში საწარმოო დანიშნულების პირველ ასეთ ნაგებობას აგებდა. ა. ულუხანოვმაც სამი წელიწადი ირანში გაატარა, ისპანეთში სახლსამშენებლო კომბინატის მშენებლობის მთავარი ინჟინერი იყო. ნუგზარ მგელაძის ბიოგრაფია მათთან შედარებით უფრო „მარტივია“. ეს გასაგებიც არის. ინჟინრებს შორის იგი ყველაზე ახალგაზრდაა. მაგრამ მიუხედავად ამისა, კომუნისტებმა იგი პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. იგი თქვენს გულს მოიგებს მტკიცე ხასიათით და რაღაც თითქმის ფანატიკური პრინციპულობით. მასზე რევაზ კაკაბაძემ ერთხელ თქვა, სამოცდაათიანი წლების კორრესპონდენტი. ათლეტური აგებულების სპორტის ოსტატი ნ. მგელაძე სხვებისათვის მაგალითის მომცემია.

საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ რაზმის მეთაურთა შემადგენლობა ოშეიათი ხალხია. იმ რამდენიმე დღეში, რაც ნიაში გავატარე, ამაში დავრწმუნდი. მათში მაღალი პროფესიული მომზადება ერწყმის ისეთ თვისებებს, როგორიც არის კეთილმოსურნეობა, უბრალოება და ერთგული რომანტიზმი. მათ კარგად იციან თავიანთი საქმე. მაგრამ ნიას პირობებში მარტო კარგი სპეციალისტობა ცოტა რამეს ნიშნავს, უნდა იყო კარგი ადამიანიც. დამამახსოვრდა საუბარი მთავარ ბუღალტერ გლადიმერ კირვალიძესთან. იგი რაზმის ყველაზე ხნიერი წევრია, 67 წლისაა. ნამდვილად კომკავშირული გული უნდა გქონდეს მკერდში, და შესაფერი სიმამაცე გქონდეს ჯაღს, რომ ამ ასაკში ბამზე წასვლა გადაწყიტო. რამ ჩამოიყვანა ეს კაცი ტაიგაში? რამ აიღებინა ხელი ჩვეულებრივ „ზომიერ“ ცხოვრებაზე?

— მე ტიპიური ბუღალტერი ვარ, — ამბობდა ვ. კირვალიძე, — მთელი ცხოვრება კაბინეტებში გამიტარებია. ასეთ პირობებში პირველად ვარ, და მერწმუნეთ, ბედნიერად ვთვლი თავს. რამდენი ახალი შთაბეჭდილება, რამდენი ახალი სულიერი ენერგია შეეიძინე. ნია მშობლიურ ფოთს მაგონებს თავისი ყოლეობთ. ისინი ციმბირში ისევე უსინდისოდ იკბინებიან, როგორც ყოლხიდაში, — ხუმრობით დასძინა ვ. კირვალიძემ, მერე ისევ სერიოზული სახე მიიღო და განაგრძო: — აუცილებელია, რომ ადამ ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაიაროს დიდი, ახელი აღმართი. ეს ახლა განსაკუთრებით კარგად ვიგრძენი.

თავისი ასაკის მიუხედავად, მთავარი ბუღალტერი მშვენივრად შეეთვისა ახალგაზრდულ ანსამბლს და ფეხბურთსაც კი თამაშობს „ინტერის“ გუნდში. რაზმში არის კიდევ ერთი ვეტერანი — ვლადიმერ დვალიშვილი, უფროსის მოგვარე. ამ გარემოებამ მას კინაღამ ციმბირის გზა გადაუღობა, მაგრამ რაზმის უფროსს ა. დვალიშვილს ახლა ძალიან უხარია, რომ არ დაატოვებინა მეორე დვალიშვილი, რადგან პატივცემულმა ვლადიმერმა ისე მოაწყო რაზმის მომარაგება, როგორც კარგად გამართული კონვეიერი. იგი ძირითადად ნიაში კი არა, უსტ-კუტის აეროდრომზე დადგმულ ვაგონში ცხოვრობს და „უკვე მოასწრო მფრინავების, მტვირთავების და დისპეტჩერების საუკეთესო მეგობარი გახდარიყო.

უსტ-კუტში ერთადერთი რესტორანია სამდინარო ნავსადგურში, და საღამოს იქ მოხვედრა უფრო ძნელია, ვიდრე მთვარეზე გაფრენა. ჩვენ ძალიან მშიერები ვიყავით და ნერწყვს ვყლაპავდით, მაგრამ შვეიცარი დაუნდობელი ვინმე იყო: „ადგილი არ არის“, იმეორებდა ეგი. უცებ ვიღაცამ ჩვენს ზურგს უკან ბოხი ხმით ჩაილაპარაკა: ეს რას ნიშნავს, როგორ, თქვენ არ გიშვებენ? — ეს იყო მტვირთავების ბრიგადირი ვიქტორი, ახალგაზრდა მხარბეჭიანი ბიჭი. მან შვეიცარი გვერდზე „მისწია“, და დარბაზში შეგვიძღვა. მტვირთავები ერთ-ერთი თავიანთი მეგობრის დაბადების დღეს ზეიმობდნენ. ისინი ვარა შემოერტყნენ ვლ. დვალიშვილს და ყველა ცდილობდა მისთვის ჭიქაზე ჭიქა მიეჭახუნებინა. მაშინ მივხვდი, თუ რატომ არ აკვიანებს უსტ-კუტის აეროპორტში ნისასათვის განკუთვნული ტვირთი, იმიტომ, რომ ვლ. დვალიშვილს, ამ ბევრსმსახველ ნამარა ჭაღარა კაცს შეუძლია საერთო ენა გამონახოს ახალგაზრდა მტვირთავებთანაც, მუდამ მოუცლელ დისპეტჩერებთან თუ ამაყ მფრინავებთან.

სურათებზე: ზემოთ — მშენებლობის ოსტატი, კომკავშირელი გიორგი კიკვაძე და ინჟინერ-მშენებელი ზაურ მეტრაძე; ქვემოთ — კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გოგი თარხნიშვილი.

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტის ბ. დაღვაძის ფოტო.

როგორც არმაია, რომ ოფიცერი სამაგალითო უნდა იყოს ჯარისკაცისათვის, ხოლო სკოლაში — მასწავლებელი მოსწავლისათვის, ისე ინჟინერი მუშას ყოველმხრივ უნდა აჩვენებდეს პირად მაგალითს. როცა ერთ-ერთმა ინჟინერმა ეს დაიკვიწყა, დათვრა და უწესოდ მოიქცა, მეორე დღესვე რაზმიდან გარიცხეს. ა. დვალიშვილმა თავისი „რკინის ხასიათი“ გამოავლინა. და მისთვის საყვედური არავის უთქვამს, რადგან ყველამ იგრძნო, რომ ულუროსი სწორად მოიქცა.

მართალია, ბამზე წამსვლელები მეტად მკაცრად შეარჩიეს, მაგრამ რაზმში მაინც გაჩენილი რამდენიმე უსინდისო ადამიანმა. მისისა დასაწყისში ავად გახდა ბორჯომელთა ბრიგადირი ვანო ჩადუნელი. იგი წელკავს უჩიოდა, მაგრამ ტკივილს არად აგდებდა და სამუშაოს არ ტოვებდა. მერე, როცა ძალიან გაუჭირდა, წამოსვლა ითხოვა. ამა უარს ვინ ეტყოდა, სუმბით გრიგორიანმა ლეპეში მიიღო, შინ სასწრაფოდ ითხოვდნენ. ზაქრო თიგიშვილმა თავის ანგარიშზე შეებულება ითხოვა, ვახტანგ მჭედლიშვილმა გვრჩენა ხაურიდან ლისგან გამოგზავნილი წერილი, რომელიც დედის მძიმედ ავადმყოფობის ამბავს იტყობინებოდა. ოთხივე ახალგაზრდამ ნია სხვადასხვა დროს დატოვა. ა. დვალიშვილს მარტო იმაში შეეპარა ეჭვი, რომ რაღა ყველაფერი ერთ ბრიგადას მოუვდაო. ჩადუნელის მაგივრად ბრიგადას სათავეში ჭაუსელიძე ჩაუდგა. და აი, მან გრიგორიანის წერილი მიიღო. გრიგორიანი და ჩადუნელი სწერდნენ, კრასნოიარსკის მხარეში ქერძო სამუშაო ვიშოვნეთ და თვეში 700 მანეთს ვიღებთო. ისინი დანარჩენ რვა ბორჯომელს მოუწოდებდნენ ბამი მიეტოვებინათ და მათ შეერთებოდნენ. მაგრამ ყოფილი ბრიგადირი და მისი ამქრები მოტყუვდნენ. ბათს მოწოდებას არავინ არ გამოეხმაურა, და კოლექტივისათვის ეს სამარცხვინო ლაქა რომ ჩამოეცილებინათ, ბორჯომელებმა შრომის ტემპს უმატეს და შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ.

ბორჯომელთა ბრიგადაში გამოცდილი ხალხი შეიკრიბა, აქ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ადრე კერძო საქმეზეც დადიოდნენ. ციმბირში ახლა ბევრი დადის ასეთი ხალხი, რადგან აქ მშენებლები არ ჰყოფნით, ისინი სამუშაოზე ნარდად ურიგდებიან, აგებენ ფერმებს, საცხოვრებელ სახლებს და ანაზღაურებას ერთიანად იღებენ. მოურიგდებიან თანხაზე, მერე ღღეში 15 საათს მუშაობენ და ობიექტს ადრე ამთავრებენ. ისინი ისეთ პირობებში ცხოვრობენ, რომ თუ ადამიანი თავის თავს ოდნავ პატივს მაინც სცემს, ასე არ დაეცემა. ამასთან მათ არავინ პატივს არა სცემს, რადგან ყველა ხედავს, რომ მათთვის ფული ყველაფერია. ფულს ყველაფერს ანაცვალებენ, სინდისს, ნამუსს. ჩადუნელმა, გრიგორიანმა, თიგიშვილმა და მჭედლიშვილმა ნია დატოვეს და ამხანაგები შეარცხვინეს. განა აქ არ შეეძლოთ მაღალი გამომუშავება ჰქონოდათ?

ზაურ ბაკლანძეს, ბონდო სორდიას, ზურაბ როხვაძეს, დემურ აბესაძეს და გოგი თარხნიშვილს ბრიგადის დანარჩენ ბიჭებს განაცოცხა გამომუშავება აქვთ? თვეში ხუთას-ხუთას მანეთზე ნაკლები არც ერთს არ გამოდის, ეს ბიჭები ნიაში ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადის წევრები არიან. მათ ივნისში პირველი ადგილი მოიპოვეს.

სამი წლით ჩამოვიდნენ აქ თამარ შიოშვილი და მისი მეუღლე ვანო ჯაშიშვილი. თამარი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილედ აირჩიეს, და მან ისე გამოიჩინა თავი, რომ ზეიმზდნის სადაბო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. თამარის გარდა აქ კიდევ ერთი დეპუტატი ჰყავთ. ირკუტსკის საოლქო საბჭოს დეპუტატი ნატაშა ტიტიაევა. იგი ზეიმზდნიში ჩამოვიდა საკავშირო ალკ XVII ყრილობის სახელობის რაზმთან ერთად. ნატაშა თბილისში დაიბადა და აღიზარდა, დაამთავრა გეოდეზიური ტექნიკუმი. ბამზე გეოდეზისტები არ იყო საჭირო, მაგრამ თბილისელი გოგონა მაინც უყოყმანოდ ჩამოვიდა აქ და მოეწყო გახდა. ახლა იგი ბამის დასავლეთის უბნის მშენებელთა წარმომადგენელია საოლქო საბჭოში.

ივნისში უსტ-კუტიდან დავანამდე შესანიშნავი ამინდი იდგა. ცაზე მზე კაშკაშებდა. ჰაერი ტაიგის ყვავილების სურნელით იყო სავსე. თერმომეტრი ჩრდილში 32 გრადუსს უჩვენებდა. ჩვენ მგონი ვთქვით, რომ ციმბირი კონტრასტების ქვეყანაა. თუ ზამთარში აქ ყინვები 50 გრადუსს აღწევს, ივნის-ივლისში 30-35 გრადუსი სიცხე ჩვეულებრივი მოვლენაა.

ბევრი საინტერესო ადამიანი ცხოვრობს ნიაში. ყოველი მათგანი თავისებურად შემზიდველია და თვითეულზე მოთხრობის ან ნარკვევის დაწერა შეიძლება. მაგრამ აქაური ამხანაგებზე და ამაზე, თუ რამ ჩამოიყვანა ისინი ამ შორეულ ციმბირში ყველაზე უკეთ თავის ლექსებში თქვა ბონდო სორდიამ, ზუგდიდელმა ბიჭმა, რომელიც ადრე ეზაურზე ზეინკლად მუშაობდა:

აქ ტაიგაში ახლა ვსახლდებით
და შეიცვლება ყველა ალაგი.
ადრე ნადირი ფლობდა ამ მხარეს,
ახლა შენდება ნია-ქალაქი!

З. ქაჯაია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ბამის დასავლეთი უბანი.

4. ადამიანები და ხასიათი

ფესტივალი ფინიშს უახლოვდება

ეკრანის ჯადოსნური ძალა

ეკრანს აქვს შეუდარებელი თვისება — აჩვენოს ყოველი დრო, მსოფლიოს ყოველი კუთხე. სწორედ მოსკოვის მე-9 ფესტივალზე მოლიანად გამოიყენა მან ეს ჯადოსნური ძალა. მაყურებლები გადაიყვანა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ევროპაში, გვიამბო აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, რომლებიც დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან, გაგვაცნო ჩვენი დროის ნამდვილი გმირები — სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც ისწრაფვიან ბოლო მოუღონ ექსპლოატაციასა და ძალადობას, შექმნან ახალი მშვენიერი სამყარო, რომელიც მშრომელი ადამიანის შესაფერი იქნება.

კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს ახალგაზრდა ალეკირელ კინემატოგრაფისტთა ფილმი „მემკვიდრეობა“, რომელიც 18 ივლისს უჩვენეს კონკურსზე. მისი კადრები გვინერგავენ იმ გმირთა გამარჯვების რწმენას, რომლებიც ახალი ცხოვრების მშენებლობის პრობლემის გადაჭრას იწყებენ.

მოზარდი თაობის ბედი აღელვებს ჩეხოსლოვაკიელ კინემატოგრაფისტებს, რომლებმაც ფესტივალის საკონკურსო ეკრანზე წარმოადგინეს ახალგაზრდა რეჟისორის ს. სტრნადის კინოსურათი „ჩემს ძმას ჩინებული ძმა ჰყავს“. მოხდენილი იუმორით აღსავსე და სხვადასხვა თაობის მომხიბლავი ადამიანებით „დასახლებული“ ეს დინამიკური ფილმი შექმნა რეჟისორმა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი გზა დაიწყო ჩვენს ქვეყანაში, კინემატოგრაფიის სრულიად საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის კედლებში. მის ანგარიშზეა თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი არაერთი სურათი. ს. სტრნადის ახალი ნამუშევარი მოგვითხრობს ახალგაზრდობის მნიშვნელოვან პრობლემებზე და ამ მხრივ წაგაგებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა სხვა ფილმს, რომელიც ფესტივალზე უჩვენეს კონკურსსგარეშე — კინოსურათს „ვარსკვლავი ზევით ვარდება“. რეჟისორ რ. რიმბანის ეს ფილმი პოპულარული მომდერლის კარელ გოტის მონაწილეობით — მიუზიკლისა და ფსიქოლოგიური დრამის თავისებური სინთეზი — ამოცანად ისახავს ახალგაზრდა ადამიანის ზნეობრივ აღზრდას.

□

მოგზაურობა საოცარ სამყაროში

საოცარ სამყაროში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, დაუვიწყარ მოგზაურობას აწყობენ ყოველ დღე ნორჩი მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალის საკონკურსო დათვალიერებაზე. კინოზეიმი ძ დ ე ერთი კვირით აღე ბავშვები ეწვევნენ ოთხი კონტინენტის 21 ქვეყანას: სამხრეთ ამერიკის სელვესა და კანადის დათოვლილ სივრცეებს, ღარიბ ირანულ სოფელსა და ინდოეთის ჯუნგლებს. ლენინის გორაზე მოთავსებულ პიონერთა სასახლის ფესტივალის ალმებით მორთულ მყუდრო დარბაზიდან გამოუსვლელად მათ მოასწრეს „გადაფრენილიყვნენ“ კასიოპეის შორეულ თანაკვარსკვლავედში, ჩასულიყვნენ ოკეანის ფსკერზე, ენახათ მებრძოლი რობოტები, გავფრთხილებინათ კეთილშობილი რობინ ჰუდი, რომ მას მტრები ჩასაფრებიან.

ახლანდელი ფესტივალის პროგრამა მეტად მრავალფეროვანია. ამ ბოლო დღეების მანძილზე ნაჩვენებ არგენტინისა და იტალიის, უსტრეთისა და პოლონეთის, იაპონიისა და ჩეხოსლოვაკიის, ირანისა და ფინეთის სურათებში პოეტური ზღაპარი უკავშირდება რეალობას, ფანტასტიკას — სავსებით „აქვეყნიური“ ამბებს. ნორჩი მაყურებლები თანაგრძნობით განიმტვალნენ პოლონელი თანატოლისადმი, ფილმ „არდადეგების დასასრულის“ გმირისადმი, რომელიც უშიშრად იცავს სუსტებს, ვაკაცურად იტანს ოჯახში მომხდარ უსიამოვნებას. ბავშვები აღტაცებით შეხვდნენ იაპონურ კინოსურათს „ალი“, რომელშიც გაცოცხლდნენ ანდერსენის ზღაპრების საყვარელი გმირები.

(საკდესის კორ.).

ბ. შამუგიას ოჯრის მცირე მედალი

ლენინგრადი ემშვიდობება ტანმოვარჯიშეებს

ლენინგრადი, 21 ივლისი. კვირას ფინეთში ჰქონდათ სპორტულ ტანმოვარჯიშეებს.

18 უძლიერესი ტანმოვარჯიშე ვაჟი იბრძოდა აბსოლუტური პირველობისათვის, სადაც კვლავ ისახელა თავი 17 წლის ლენინგრადელმა სპორტსმენმა ა. დიტიატინმა, რომელმაც 111,5 ქულა შეაგროვა. მისმა მთავარმა მეტოქემ მოსკოველმა ვ. კლიმენკომ 110,575 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ფ. კულაკსიზოვი (უკრაინა, 110,275 ქულა).

აბსოლუტური პირველობის გათამაშების შემდეგ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს პაექრობა ჰქონდათ ცალკეულ იარაღებზე უძლიერესის გამოსავლენებლად.

ქალთა შორის დიდ წარმატებას მიაღწია ჩიმკენტელმა ნ. კიმმა. იგი პირველი იყო ნაირსამაღლის ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშში, ამასთანავე პირველობა გაიყო გროდნოელ ო. კორბუტთან დვირზე ჯარჯიშში. ბჯენით ხტომებში უძლიერესის ტიტული დაიმსახურა როსტოველმა ა. ტურიშევამ.

ვაჟთა შორის პირველობა და ოქროს მცირე მედლები მოიპოვა ღერძზე და თავისუფალ ვარჯიშში — ვლადიმირელმა ნ. ანდრიანოვამ, ტაიჭზე ვარჯიშში — ლენინგრადელმა ა. დიტიატინმა, რგოლებზე ვარჯიშში — ერევნელმა მ. გიზიკარიანმა, ორძელზე ვარჯიშში — ბელორუსიის წარმომადგენელმა ნ. ნედბალსკიმ, ბჯენით ხტომებში — თბილისელმა პ. შამუგიამ.

სურათზე: ჩემპიონი ბჯენით ხტომაში პ. შამუგია.

ROGORC MINIMUMI — BRINJAO

კიევი, 21 ივლისი. დასასრულს უახლოდება კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების პაექრობა.

ბევრს მიაჩნია, რომ ოქროსა და ვერცხლის შედლების საკითხი უკვე გადაწყვეტილია და მათ მფლობელებად ასახელებენ მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს.

მორიგ ტურში საქართველოს კალათბურთელებს მატჩი მოსკოვის გუნდთან ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ჩვენს ნაკრებში არ იყო მ. ქორქია, მართალია, დასაწყისში 6 ქულით დაწინაურდნენ საქართველოს კალათბურთელები, მაგრამ მოსკოველებმა მალე აღადგინეს წონასწორობა, მოიგეს ტაიმი 43:31, ხოლო შემდეგ მატჩიც 90:76. ძალების დაზოგვის მიზნით, ლიტველებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ ლენინგრადის ნაკრებისათვის და მათაც წააგეს შეხვედრა 67:95 (29:49).

ფინალში პირველი ქულა ჩაიწერეს უკრაინელმა კალათბურთელებმა, მათ დაამარცხეს ლატვიის გუნდი 95:83 (49:46).

დღეს საღამოს ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელებმა დაამარცხეს ლიტვის გუნდი 78:75 და როგორც მინიმუმი ბრინჯაოს მედალი უზრუნველყოფილი აქვთ.

აი როგორ გამოიყურება საბოლოო ცხრილი პირველ ფინალურ ჯგუფში:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
მოსკოვი	3	3	0	258-209	3
საქართველო	4	3	1	320-312	3
ლენინგრადი	3	2	1	258-215	2
უკრაინა	3	1	2	242-234	1
ლიტვა	4	1	3	282-345	1
ლატვია	3	0	3	235-280	0

სპარტაკიადის ტაგლო

გუნდები, ქულები

	აკად. ნაჩვ. 1-11 ჯგუფი	სპორტული ტანვარჯიში	28 სახეობის შემდეგ
რსფსრ	433,5	350	7.914,5
მოსკოვი	461	352	6.203
უკრაინა	331,5	164	6.176,5
ლენინგრადი	395	220	4.475,5
ბელორუსია	84	456	3.977
ყაზახეთი	102	172	2.677
საქართველო	39	138	2.509
უზბეკეთი	51,5	154	2.262,5
ლატვია	145	24	2.046
ლიტვა	247	—	1.969,5
მოლდავეთი	83	—	1.805
ესტონეთი	121	—	1.501
აზერბაიჯანი	46	—	1.448
სომხეთი	4	84	1.384
ყირგიზეთი	—	—	1.067
ტაჯიკეთი	5	—	936,5
თურქმენეთი	13	—	549

სპარტაკიადაც, ჩემპიონატიც

კიშინიოვი, 21 ივლისი. აქ ორ დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოტომრბოლთა ტურნირი, რომელიც სპარტაკიადის პროგრამითაც იყო გათვალისწინებული და საკავშირო ჩემპიონატადაც ითვლებოდა.

უძლიერესებად მოტოკროსში აღიარებულ იქნენ რსფსრ-ის სპორტსმენები. ისინი გახდნენ სპარტაკიადის ლაურეატები.

350 კუბური სანტიმეტრის ძრავიანი მანქანებით ყველას აჯობა ს. ნაბიულინმა (მოლდავეთი), ხოლო 500 კუბური სანტიმეტრის ძრავიანი მანქანით გაიმარჯვა ლენინგრადელი ვ. ხუდიაკოვმა. 175 და 250 კუბური სანტიმეტრის ძრავიანი მანქანებით კროსში უძლიერესები იყვნენ ბ. რუდევი (ლენინგრადი) და პ. ოვჩინიკოვი (მოსკოვი).

გამარჯვებულებს გადაეცათ მედლების ორი კომპლექტი — სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისა და. ჩვენი ქვეყნის პირველობის.

ფეხბურთი

ოდესელთა რევანშიზმი

კვირას თბილისის „ქანდაკების“ გათამაშების მეორე წრეზე ჩვენ ლ. ბაქრაძეს ოდესელ მატჩი თამაშობ „ჩერნომორეცთან“.

ანგარიში მე-7 წუთზე ასათანადოს გადაცემის შემდეგ გახსნა ყეფანმა (ეს მისი მეცხრე ბურთია გათამაშებაში).

მასპინძელთა ცდა, გაექვითათ ანგარიში, პირველ ტაიმში უშედეგო იყო, რაშიც დიდი დამსახურება მოუძღვის მეკარე გოგიას.

შესვენების შემდეგ (50-ე წუთზე) ოდესელთა დეფიუტანტმა ბლასკინმ შეძლო ბურთის გატეხა — 1:1. თითქოს ასპარეზობა ასეც უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთზე „ჩერნომორეცმა“ მიხაილოვის ზუსტი დარტყმის შედეგად რევანშში აიღო პირველ წრეში დამარცხებისათვის — 2:1.

თბილისელთა შემადგენლობაში გამოვიდნენ — გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, გაგაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, რეზვიაშვილი, ყეფანი (ქორიძე), წერეთელი (გ. მაჩაიძე).

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 3:0.

□

ექვსი მატჩი

კვირას ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე დაიწყო „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე:

„დინამო“ კ. — „არარატი“ — 4:0
„დინამო“ მ. — „სპარტაკი“ — 2:1
„პახტაკორი“ — „არარატი“ — 1:1
„ზენიტი“ — „ლოკომოტივი“ — 0:1
სკა — „დნეპრი“ — 1:2

გუშინ მოსკოვის „ტორპედო“ მასპინძლობდა დონეცკის „შახტიორს“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

დღეს მოსკოვში გაიმართება მეორე წრის პირველი ტურის ბოლო შეხვედრა — ცსკა-„ზარია“.

ჩოგბურთი

დევისის თასზე

ლიეჟეპაპ (იგი მდებარეობს ლატვიის ცნობილ კურორტ იურმალას მახლობლად) კორტებზე გაიმართა დევისის თასის გათამაშების ევროპის „ა“ ზონის ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირისა და შვეიცის გუნდებს შორის. საბჭოთა ჩოგბურთელებმა, როგორც ცნობილია, ეს უფლება მოიპოვეს უბრძოლველად, მაშინ როდესაც შვეიცის ნაკრებმა დაამარცხა ჯერ პოლონეთის, შემდეგ კი გფრ-ის გუნდი.

შეჯიბრების პირველ დღეს დაწინაურდნენ სტუმრები: ბირგერ ანდერსონმა მოუგო ანატოლი ვოლკოვს — 6:4, 6:4 (რომელმაც შეცვალა მოუფლდნელად შეუძლოდ გამხდარი თ. კაკულია), ხოლო ბიერნ ბორგმა — ალექსანდრე მეტროველს — 7:5, 6:3, 6:3.

მეორე დღეს გაიმართა წყვილთა შეხვედრა ა. მეტრეველი-თ. კაკულიასა და ბ. ბორგ-უვე ბენგსტონს შორის. ანგარიშით 6:1, 6:4, 8:6 გაიმარჯვეს ჩვენმა ოსტატებმა.

კვირაღამის პირველი შეხვედრის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 2:2. ახლა ყველაფერს წყვეტდა ბ. ბორგისა და ა. ვოლკოვის ორთაბრძოლა. გაიმარჯვა ბ. ბორგმა — 8:6, 6:1, 6:0.

ამრიგად, შვეიცის გუნდი, რომელმაც მოიგო ეს მატჩი ანგარიშით 3:2, დევისის თასის ევროპის „ა“ ზონის ფინალში გავიდა.

1979 წელს — საბჭოთა კავშირი

ჰოკეის საერთაშორისო ლიგის კონგრესმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა შვეიცარიის ქალაქ გშტადში, ხმების უმრავლესობით გადაწყვიტა ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების ორგანიზაციის უფლება მიანიჭოს 1978 წელს — ჩეხოსლოვაკიას, 1979 წელს—საბჭოთა კავშირს, 1980 წელს — შვეიცას.

შეგახსენებთ, რომ 1976 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში, ხოლო 1977 წელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში.

დამთავრდა პირველი წრე

ქუთაისის „ტორპედო“ — მესამე ადგილზე

ფეხბურთელთა „ა“ კლასის პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე შაბათს დამთავრდა. ქუთაისის „ტორპედო“ ხაპოროჟიეში სტუმრობდა ადგილობრივ „მეტალურგს“. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 0:0.

აი სხვა შედეგებიც: „ნეფტჩი“-„კარატი“ — 2:1, „დინამო“-„ყაზანი“ — 1:0, „შინიკი“-„სპარტაკი“ (ნ.) — 2:0, „კრ. სოვეტოვ“-„სპარტაკი“ (ო.)—2:1, „ზვეზდა“-„მეტალისტი“ — 2:0, „ბუბინი“-„ტავრია“ — 2:1, „ურალმაში“-„სპარტაკი“ (ი.-ფ.) — 2:0, „კუზბასი“-„ნისტრუ“ — 3:2.

გადავხედოთ ცხრილს:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	10	6	3	25-10	26
„კრ. სოვეტ.“	10	4	5	34-20	24
„ტორპედო“	8	8	3	24-13	24
„კარატი“	10	3	6	32-18	23
„ტავრია“	9	5	5	30-20	23
„ნეფტჩი“	10	3	6	25-17	23
„ნისტრუ“	9	4	6	21-23	22
„შინიკი“	7	8	4	24-19	22
„სპარტაკი“ (ო.)	8	5	6	20-15	21
„სპარტ.“ (ი.-ფ.)	7	6	6	25-20	20
„მეტალურგი“	6	7	6	20-16	19
„მეტალისტი“	6	6	7	16-18	18
„პამირი“	5	7	7	22-22	17
„ზვეზდა“	7	3	9	15-20	17
„კუზბასი“	6	5	8	20-26	17
„რუბინი“	5	7	7	17-29	17
„ყუბანი“	4	7	8	16-23	15
„სპარტაკი“ (ნ.)	3	7	9	12-27	13
„ურალმაში“	5	2	12	17-31	12
„ალგა“	2	3	14	17-39	7

25 ივლისს მეორე წრის პირველ მატჩში ტორპედოელები ქუთაისში უმასპინძლებენ ბაკოს „ნეფტჩის“.

მოკლედ

კალათბურთი. ათენში გაიმართა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების პირველი შეხვედრა — სებერძნეთის გუნდმა ანგარიშით 62:64 წააგო მექსიკელებთან. ამ შეჯიბრებაში გამოდის საბჭოთა ნაკრებიც, რომელიც ლენინგრადში 26 ივლისს შეხვდება მექსიკელებს, 29 ივლისს — კანადელებს, 31 ივლისს — ბრაზილიელებს, 2 აგვისტოს — აშშ-ის ნაკრებს, ამის შემდეგ საბჭოთა კალათბურთელები გაემგზავრებიან საპასუხო შეხვედრებისათვის ოკეანელებთან.

მშვილდოსნობა. მონრეალში გაიმართა წინასაოლიმპიადო ტურნირი. მსოფლიოს ჩემპიონი — დუშანბელი ზებინისო რუსტამოვა გამოვიდა მეორე ადგილზე — 2306 ქულა, ხოლო ლვოველი ვალენტინა კოვპანი — მესამეზე (2286). გაიმარჯვა ამერიკელმა ირენ ლორენსენმა — 2407 ქულა.

წყალბურთი, წყალში ხტომა. კოლუმბიის ქალაქ კალიში დაიწყო მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი საწყლისნო სპორტის სახეობებში. ქალთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში თავი ისახელეს საბჭოთა სპორტსმენებმა ირინე კალინინამ (პეზხა) და ტატიანა ვოლინკინამ (ლვოვი), რომლებმაც პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს. პირველ მატჩში საბჭოთა წყალბურთელებმა ფრედ — 4:4 ითამაშეს აშშ-ის ნაკრებთან.

რეგბი. გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. თბილისში „ლოკომოტივი“ დამარცხდა მოსკოველ თანაგლუბელებთან — 6:10, ხოლო „ეკერიამ“ სტუმრად წააგო მოსკოვის „სლავასთან“—9:11. გათამაშებას კვლავინდებურად ლიდერობს მოსკოვის „ფილი“, რომელმაც მოუგო მაი-ს — 29:6.

ფარიკაობა. საბჭოთა ნაკრებმა კვლავ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის მთავ